ლეკიანში დამშრობი მასივის მოწესრიგების სამუშაოები ტარდება

შპს „საქართველოს მელიორაცია“, ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, ლეკიანის დამშრობი მასივის მოწესრიგების სამუშაოებს ატარებს. სოფლების ნაღობილევის, მერიის, ხვარბეთის, მთისპირისა და შემოქმედის ტერიტორიაზე ხე-ბუჩქნარისა და ნატანი მასისგან 6 კილომეტრამდე სიგრძის კოლექტორული და შემკრები ქსელი გაიწმინდება.

ჩატარებული სამუშაოების შედეგად, არხის გამტარუნარიანობა გაიზრდება და მუნიციპალიტეტში 50 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობზე სადრენაჟე მომსახურება აღდგება, რაც სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოების გაზრდას შეუწყობს ხელს. სამუშაოები მიმდინარე წლის მარტში დასრულდება.

ალიონი

გურია

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.

ყოველკვირეული გამოშვება. № 3 (10489) 17 თებერვალი, 2025 წ. ფასი 1 ლარი.

ჩქარი მატარებელი თბილისიდან ოზურგეთში პირველად შემოვიდა

ალიონი. 11 თებერვალს თბილისიდან ოზურგეთში ახალი ჩქარი სამგზავრო მატარებლის პირველი რეისი შესრულდა.

ჩინური მარკის 4 -ვაგონიანი სამგზავრო მატარებელმა ოზურგეთში პირველი მგზავრები ჩამოიყვანა. სასიამოვნოა, რომ სამგზავრო მატარებლის მემანქანის თანაშემწე საქართველოს რკინიგზის პირველი რეფორმატორის, დაახლოებით მეთხედი საუკუნის წინ დღის სამგზავრო მატარებლის თბილისი-ოზურგეთის დანიშვნის ინიციატორის, საქართველოს რკინიგზის ყოფილი მმართველის აკაკი ჩხაიძის შვილიშვილი იყო.

მატარებელში არის როგორც პირველი კლასის, ისე მეორე კლასის სამგზავრო ადგილები.(მატარებლის ტევადობა დაახლოებით 100 ადგილით გაიზარდა). პირველი კლასის ვაგონით მგზავრობა 27 ლარი ღირს, ხოლო მეორე კლასის –11-15 ლარი.

პირველ დღეს ახალ მატარებელს (ეს მატარებელი ადრე თბილისი-ბათუმის რეისზე მოძრაობდა) ნატანებიდან ელმავალი დაეხმარა ოზურგეთში ჩამოსასვლელად.

ოზურგეთის რკინიგზის სადგურის თანამშრომლებმა გვითხრეს, რომ მიმდინარეობს ოზურგეთი-ნატანების 16-კილომეტრიან მონაკვეთზე, სადაც აუცილებელია, შპალების შეცვლა. უკვე შეცვალეს 4000 შპალი. ეს პროცესი გრძელდება.

12/11 – ჩქარი მატარებელი თბილისი – ოზურგეთი, თბილისიდან გავა 9:00 სთ -ზე, ოზურგეთში ჩასვლა – 17:10 სთ – ზე; ოზურგეთი – თბილისი, ოზურგეთიდან 9:05 სთ-ზე გამოვა, თბილისში ჩამოსვლა 17:30 სთ – ზე.

როგორც რკინიგზელებმა გვითხრეს, მატარებელი რეისებს დღეგამოშვებით შეასრულებს.

„აქ მოხდება ცემენტის შესაბამისი ნედლეულის შემოტანა, შეკუპაჟება და ადგილზე დაფასოება

ალიონი. ალიონი. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ლიხაურში შპს „ბეთლემი 2008“-ის მიერ ცემენტის საწარმოს მშენებლობის თემა მოსახლეობაში არაერთგვაროვან დამოკიდებულებას იწვევს. მიმდებარე კვაჭალათის მოსახლეობა აცხადებს, რომ ისინი არ დაუშვებენ სოფელში ეკოლოგიურად საშიში ცემენტის ქარხნის ამოქმედებას.

მოსახლეობის ასეთი განწყობის ერთ-ერთი საბაბი სოფელ ლიხაურში, ადმინისტრაციულ შენობაში 2024 წლის 2 დეკემბერს გამართული სკოპინგის ანგარიშის განხილვაა, რომელსაც მხოლოდ რამდენიმე ლიხაურელი დაესწრო და მოსახლეობა ფაქტიურად ინფორმაციულ ვაკუუმში აღმოჩნდა.

გარემოსდაცვითი დეპარტამენტის წარმომადგენლებმა განხილვაზე განაცხადეს, რომ სკოპინგის ანგარიშის შესახებ შესაბამისი განცხადება იდო გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაბამის ვებგვერდზე, ასევე სოფელ ლიხაურის მოსახლეობამ წინა დღით, მობილურის საშუალებით მიიღეს შეტყობინება ამ განხილვის შესახებ, რაც მათი აზრით საკმარისი ღონისძიება იყო მოსახლეობის ინფორმირებულობისათვის. როგორც ჩანს, ეს ასე არ არის, რასაც შემდეგ პერიოდში მოსახლეობის მშენებლობის საწინააღმდეგოდ გააქტიურება მოწმობს. ისე, სკოპინგის ანგარიშის განხილვაზე ვერც პროექტის ავტორებმა „მწვანე მრჩევლებმა“ წარმოადგინეს ეკოლოგიური საფრთხეების პრევენციული ზომების შესახებ დასაბუთებული არგუმენტები.

ლიხაურელები პერიოდულად უკავშირდებიან გაზეთ „ალიონის“ რედაქციას და აცხადებენ რა ხდება კვაჭალათზე, შპს „ბეთლემი 2008“ საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე.

წელს, იანვრის მეორე ნახევარში „ბეთლემი 2008“ აზერბაიჯანიდან ცემენტის საწარმოსთვის საჭირო დანადგარები შემოიტანა. შპს „ბეთლემი 2008“ დირექტორმა **გელა კობალაძემ** გარემოსდაცვით სათემო ორგანიზაცია „ეკოსთან“ ერთად ადგილზე გვაჩვენა დასაწყებული დანადგარები და გვითხრა, რომ გზშ-ს განხილვა-დასრულებამდე არანაირ მშენებლობას არ აპირებდნენ.

15 იანვარს სსიპ გარემოს დაცვის ეროვნულმა საგენტომ გამოსცა ბრძანება „ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, სოფელ ლიხაურში, შპს „ბეთლემი 2008“-ის ცემენტის საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციაზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ.“

აღნიშნული ბრძანების შესაბამისად „ბეთლემი 2008“ ვალდებულია, გზშ-ის ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს №76 დასკვნის შესაბამისად.

არსებული ინფორმაციით ადგილობრივმა მოსახლეობამ კი საწარმოს აგების წინააღმდეგ ხელწერილები შეაგროვა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მერიას გადასცა.

რამდენიმე დღის წინ მოსახლეობამ საწარმოს ტერიტორიაზე შესვლა მოითხოვა.

–სოფელ ლიხაურში, კვაჭალათის მცხოვრებლებმა შეამჩნიეს, რომ დიდი ტრანსპორტი –ამწე მოძრაობდა შპს „ბეთლემი 2008“-ის საპროექტო არეალში და რაღაც საქმიანობა მიმდინარეობდა. შეიკრიბა ადგილობრივი მოსახლეობა და გარემოსდაცვით ორგანიზაცია „ეკოს“ დაუკავშირდნენ. რა თქმა უნდა მივედით ადგილზე და აჭარა-გურიის ზედამხედველობის დეპარტამენტის წარმომადგენლები გამოვიძახეთ. ავუხსენით მათ, რომ პროექტი არის სკოპინგის ეტაპზე და იქ არის წინასწარი სამზადისი მათ ამოსაქმელად.

მოვიდა ბრიგადა, (ხელმძღვანელი იყო კობალაძე). მოსახლეობაც იქ იყო. მათ შემოწმება-ინსპექტირება მოახდინეს. ადგილზე ნახეს მიტანილი ცემენტის საწარმოსთვის საჭირო დანადგარები, იქვე ამოღებული და დასაწყობებული ბალასტი, მოახდინეს ყველაფრის ფოტოგადაღება, შეადგინეს შესაბამისი ოქმი. გვითხრეს, 10 დღის ვადაში გაცნობებთ პასუხს, რა გადაწყვეტილებას მივიღებთო.

მოსახლეობამ აჭარა-გურიის დეპარტამენტის წარმომადგენლებთან დაფიქსირა, რომ ისინი არ დაუშვებდნენ ლიხაურში ცემენტის ქარხნის ამოქმედებას – გვითხრა გარემოსდაცვითი ორგანიზაცია „ეკოს“ დამფუძნებელმა **ირმა გორდელაძემ.**

გაზეთი „ალიონთან “ შპს „ბეთლემი 2008“ დირექტორმა გელა

გვ–3

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 150 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 200-200 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 400 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 400 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 70 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 30ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 30 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

საცალო ფასი: 80 თეთრი,
ხელმოწერა:
ერთი თვით – 3,20 ლარი,
სამი თვით – 9,60 ლარი,
6 თვით –16 ლარი,
ერთი წლით – 32 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.

ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.

რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.

რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარედაქციო კოლეგია

რედაქტორი

ნუგზარ ასათიანი

nugzarasatiani15@gmail.com

558 499100

კომპიუტერული უზრუნველყოფა

ვეორგი გოგოლაძე

gia_77@mail.ru

551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3

ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311

გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში“

მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაინყეთ ყოველი ოხშაბათი ალიონზე

«ალიონით»

გურიის მდინარეები ჩოხატაურსა და ოზურგეთში 40 000 ქვირითით დათევზიანდა

„წითელი ნუსხის“ სახეობის ნაკადულის კალმახის პოპულაციის აღდგენის პროექტის ფარგლებში, ოზურგეთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებში მდინარეები 40 000 ქვირითით დათევზიანდა.

ნაკადულის კალმახის ქვირითისა და ლარვის ველურ ბუნებაში გაშვება არის მეთოდი, რომელიც ხელს უწყობს მოწყვლადი სახეობის მომრავლებას და მაქსიმალურად ზრდის ბუნებრივად გამოჩეკის პროცესს.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, შესაბამის უწყებებთან ერთად, ყოველწლიურად ახორციელებს მდინარეების დათევზიანების აქტივობას მთელი ქვეყნის მასშტაბით.

დათევზიანების პროცესში მონაწილეობა მიიღეს გურიის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილემ **ზაზა შოშიტაიშვილმა,** გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო დეპარტამენტის ხელმძღვანელმა **კარლო ამირგულაშვილმა** და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ **მინდია ჟღერიამ.**



„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში ჩოხატაურში საერთო კრებები გრძელდება

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში შეხვედრები გაიმართა გუთურში, გორაბერეჟოულში, ზემო ფარცხმა შუა ფარცხმაში,საყვავისტყეში, დაბლაციხეში, ბუკისციხეში, იანეულში, გოგოლესუბანში, შუა ამაღლებაში, ამაღლებასა და სამებაში.

მოქალაქეებმა თავიანთი სოფლებისთვის პრიორიტეტული პროექტები შეარჩიეს.

შეხვედრებს სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციისა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

მომდევნო დღეებში კონსულტაციები გაიმართება ზომლეთში, ვანში, ბუკნარში, ქვენობანსა და ბასილეთში.

სოფელ სუფსაში მუსიკალური სასწავლებლის ახალი შენობა გაიხსნა

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში, სოფელ სუფსაში მუსიკალური სასწავლებლის ახალი შენობა გაიხსნა.

პროექტი ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდა.

ახალ შენობაში გადასვლა სამუსიკო სკოლის პედაგოგებს, აღსაზრდელებსა და მშობლებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** საკრებულოს თავმჯდომარე **ბესიკ ტაბიძესთან** და სუფსის მაჟორიტარ დეპუტატთან **ია მოქიასთან** ერთად მიულოცა.

ღონისძიებას მერის პირველი მოადგილე **ეკატერინე გუჯაბიძე** და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატები დაესწრნენ.

ოზურგეთში ახალი თეატრის მანიფესტი გაიმართა

ალიონი. ვასო აბაშიძის სახელობის თეატრის მანიფესტი ქ. ოზურგეთში, „ჭადრების ბაღში“, ოზურგეთის კინოთეატრის შენობის წინ გაიმართა. მანიფესტი საქართველოს ჰიმნით გაიხსნა. შემდეგ კი სცენა მსხიობებმა დაიკავეს.მათ სპექტაკლი „ჩვენ გადმოვცურავთ ზღვას“ წარმოადგინეს, რომელიც აგებულია ირაკლი ჩარკვიანის ჰიტებზე.

გურიის რეგიონიდან სიტყვებით გამოვიდნენ: **ირმა გორდელაძე** (ოზურგეთი), **ლადო აფხაზავა** (ლანჩხუთი), **ნანა მგალობრიშვილი** (ჩოხატაური).

ახალი თეატრის მანიფესტს ოზურგეთის თეატრის მსახიობებიც შეუერთდნენ.

თეატრალებმა ამჯერად ოზურგეთიდან ანდრო ჭიჭინაძის, მზია ამაღლობელის და სხვა დანარჩენი სინდისის პატიმრის განთავისუფლება და ახალი არჩევნების დანიშვნა მოითხოვეს.

ვასო აბაშიძის სახელობის ახალი თეატრი მანიფესტით ტურნეს ქვეყნის მასშტაბით კვლავ განაგრძობს.

„შალომ კლუბ გურიამ“ „ასოციაცია გურიას“ დღის ცენტრს ადაპტირებული ინვენტარი და კომპიუტერული ტექნიკა გადასცა

ალიონი. „ასოციაცია გურიას“ დღის ცენტრმა შშმ პირებისთვის პროექტის — „ ჩვენ ერთად ვართ“ ფარგლებში, ადაპტირებული ინვენტარი და კომპიუტერული ტექნიკა განაახლა.

„პროექტი ითვალისწინებს საქართველოში სხვადასხვა სფეროს გაძლიერებას. ამ ეტაპზე პროექტის ფარგლებში, „ასოციაცია გურიას” დღის ცენტრისთვის შევიძინეთ კომპიუტერული ტექნიკა და ადაპტირებული ინვენტარი. ჩვენი მეგობრობა და თანამშრომლობა მომავალშიც გაგრძელდება. ერთად ბევრ მნიშვნელოვან პროექტს განვახორციელებთ“ — განაცხადა „საქართველოს მაშავ შალომ კლუბ გურიას“ პრეზიდენტმა, **ზაურ ოსეფაიშვილმა.**

პროექტი განხორციელდა „მაშავ შალომ კლუბ გურიას” მიერ, ისრაელის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტო „მაშავის“ და ისრაელის საელჩოს დაფინანსებით.

ხელოვნურსაფრიანი მოედნები მოეწყო

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში, აცანის, გვიმბალაურისა და ნინოშვილის ადმინისტრაციულ ერთეულებში ხელოვნურსაფრიანი მოედნები მოეწყო.

სამუშაოების ჩასატარებლად, ადგილობრივი ბიუჯეტიდან, ჯამში 407 775 ლარი დაიხარჯა.

სტადიონები ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** საკრებულოს თავმჯდომარე **ბესიკ ტაბიძესთან,** მოადგილე **თორნიკე ტიკაძესთან** და გურიის სამხარეო ადმინისტრაციის წარმომადგენელთან ერთად დაათვალიერა.

ვალერიან (ვოვა) ცანავა იუბილარია – 90

ცნობილი მეცნიერის, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის ბატონი **ვალერიან (ვოვა) ცანავას** წვლილი მნიშვნელოვანია ქართული მეცნიერების და სუბტროპიკული სოფლის მეურნეობის განვითარებაში.

ვალერიან ცანავა დაიბადა 1935 წელს ქ. სოხუმში, ცნობილი მოღვაწის პეტრე ცანავას ოჯახში. 1953 წელს დაამთავრა სოხუმის №1 საშუალო სკოლა და ჩაირიცხა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში, რომელიც 1958 წელს დაასრულა აგროქიმია - ნიადაგმცოდნეობის სპეციალობით. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ იგი სამუშაოდ გაიგზავნა ანასეულში, ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების სამეცნიერო - კვლევით ინსტიტუტში. 1961-1964 წლებში ვ. ცანავამ გაიარა ასპირანტურაში სწავლების სრული კურსი სასუქებისა და ინსექტოფუნგიციდების სამეცნიერო - კვლევითი ინსტიტუტის (ქ. მოსკოვი) დოლგოპრუდის საცდელ სადგურში პროფესორ ფ. ტურჩინის ხელმძღვანელობით და 1966 წელს წარმატებით დაიცვა დისერტაცია სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. ამის შემდეგ იგი დაუბრუნდა მშობლიურ ინსტიტუტს და იმავე წელს არჩეულ იქნა უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე აგროქიმიის განყოფილებაში. 1972-1988 წლებში ვ. ცანავა ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეა სამეცნიერო დარგში. 1988 წელს მან ასევე წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად თემაზე „ჩაის მცენარის აზოტოვანი კვების აგროქიმიური საფუძვლები". 1988-1995 წლებში ვ. ცანავა ორი ინსტიტუტის გაერთიანების ბაზაზე შექმნილი ჩაის, სუბტროპიკული კულტურებისა და ჩაის მრეწველობის სამეცნიერო - საწარმოო გაერთიანების გენერალური დირექტორის პირველი მოადგილეა, ხოლო 1995 წლიდან 2006 წლამდე ამავე სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების გენერალური დირექტორი. 2006 წლიდან კი ჩაის, სუბტროპიკული კულტურებისა და ჩაის მრეწველობის ინსტიტუტის აგროქიმია-ნიადაგმცოდნეობის ლაბორატორიის ხელმძღვანელია და ამასთან ერთად 2006-2010 წლებში ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე. ვ. ცანავა 1992 წლიდან საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტია, ხოლო 1995 წლიდან კი აკადემიის წევრი.

ვ. ცანავას მიერ ჩატარებულ კვლევებში ფართოდ არის გამოყენებული ინსტიტუტის მრავალწლიანი სტაციონალური ცდები როგორც საბაზისო კვლევის ობიექტი წითელმიწა ნიადაგებში აზოტის ფრაქციული შესწავლისათვის. ამ კვლევებით მეცნიერულად დასაბუთებულია აზოტის ფონდის ცვლილებები წითელმიწებში აზოტოვანი სასუქების ფორმებისა და ნორმების ხანგრძლივი გამოყენების ფონზე, ასევე სასუქების გავლენა პლანტაციების პროდუქტიულობასა და მზა ჩაის ხარისხზე. დადგენილია, რომ წითელმიწებისა და სუბტროპოკული გაეწერებული ნიადაგების პირობებში ჩაის პლანტაციებიდან მაქსიმალური მოსავლის მიღების ერთ-ერთი ძირითადი პირობას ფოსფორიანი სასუქების გამოყენება წარმოადგენს, მათი ფორმების, ვადებისა და პერიოდულობის გათვალისწინებით. დადგენილია აგრეთვე კალიუმიანი სასუქების გამოყენების ეფექტიანობა აზოტით და ფოსფორით ხანგრძლივად განოყიერებულ ასაკოვან პლანტაციაში. მნიშვნელოვანია ვ. ცანავას მონაცემები ჩაის მცენარის ვეგეტაციის პერიოდში ცილოვანი და თავისუფალი ამინომჟავების აზოტის ცვლილების დინამიკის შესახებ, აზოტით უზრუნველყოფისა და დოზებისაგან დამოკიდებულებით. მრავალწლიანი და მრავალმხვრივი კვლევების შედეგები ასახულია ჩაისა და ციტრუსოვნების მოვლა-მოყვანის პრაქტიკულ რეკომედაციებსა და აგროწესებში, კერძოდ, აზოტოვანი სასუქების ფორმების შედარებითი შეფასება ნიადაგში მათი შესატანი დოზები და ფორმები.

ვალერიან ცანავა ავტორია 215 სამეცნიერო შრომის, მათ შორის, 3 მონოგრაფიის, 1 სახელმძღვანელოს, 1 პრაქტიკული სახელმძღვანელოს, 6 გამოგონების და პატენტის. განსაკუთრებით აღსანიშნავია მონოგრაფიები: „ჩაის მცენარის აზოტით კვების აგროქიმიური საფუძვლები" (1985 წ.) და თანაავტორობით (მ. დარასელია, ი. ვორონცოვი, ვ. გვასალია) გამოცემული. „საბჭოთა კავშირის მეჩაიეობა" (1988 წ). მონოგრაფიაში „ჩაის მცენარის აზოტით კვების აგროქიმიური საფუძვლები" თავმოყრილია მრავალწლიანი კვლევების შედეგები ჩაის პლანტაციების ნიადაგების აზოტის ფონდის შესახებ. დეტალურად არის შესწავლილი შეტანილი აზოტის ბალანსის სტრუქტურა და დადგენილია სასუქის აზოტის გავლენა ნიადაგის და მოძრავ აზოტზე, ასევე ჩაის ბუჩქის ცალკეულ ნაწილების საერთო აზოტში მინერალური სასუქების ხვედრითი წილი. ვ. ცანავას მიერ დასაბუთებულია მცენარის აზოტით კვების პრობლემის თითქმის ყველა ასპექტი საქართველოს ჩაის პლანტაციების მაგალითზე.

დიდია ვალერიან ცანავას წვლილი სამეცნიერო კადრების მომზადების საქმეში. მისი ხელმძღვანელობით მომზადებული და დაცულია ორი ათეული საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაცია.

ამაგდარი მეცნიერი წარმატებით აგრძელებს ნაყოფიერ სამეცნიერო საქმიანობას ნიადაგის ნაყოფიერების დონის შესწავლის და განოყიერების დიფერენცირებული სისიტემის შემუშავების მიმართულებით. მნიშვნელოვანია ჩვეული ენთუზიაზმით. ბოლო წლებში კოლეგებთან ერთად, შეასრულებული სამუშაოები - სასოფლო-სამეურნეო კულტურების ქვეშ ახალი სახის კომპლექსური სასუქების გამოყენების ეეფექტიანობის შესწავლისა და კვლევის შედეგების საცდელი დანერგვის მიმართულებით.

ვალერიან ცანავას კარგად იცნობენ როგორც ჩვენს ქვეყანაში, ასევე მის გარეთ. იგი არაერთხელ იმყოფებოდა სამეცნიერო მივლინებებში — ვიეტნამში, ლაოსში, კუბაში, ინდოეთში, ჩინეთში და ბელგიაში, ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების მოვლა-მოყვანის მეცნიერული მიღწევების გაზიარების მიზნით.

ვალერიან ცანავა არის საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის და სამეცნიერო ჟურნალის „მოამბის" სარედაქციო საბჭოს წევრი. იგი მონაწილეა რიგი საერთაშორისო და ადგილობრივი სამეცნიერო პროგრამების და პროექტების.

გაწეული ნაყოფიერი სამეცნიერო - პედაგოგიური საქმიანობისათვის ვალერიან ცანავა დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშისა და ღირსების ორდენებით, არჩეულია ოზურგეთის საპატიო მოქალაქედ.

მეგობრები და კოლეგები დიდი სიყვარულით და პატივისცემით ვულოცავთ ღვაწლმოსილ მეცნიერს ბატონ ვალერიან ცანავას 90 – წლის საიუბილეო თარიღს და ვუსურვებთ ჯანმრთელობას, დღეგრძელობას, მხეობას, სიხარულს და მომავალ წარმატებებს.

„აქ მოხდება ცემენტის შესაბამისი ნედლეულის შემოტანა, შეკუპაქება და ადგილზე დაფასოება

კობალაძემ გააკეთა კომენტარი:

–სოფელ ლიხაურში, კომპანიის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე დაგეგმილია ცემენტის საწარმოს მოწყობა-ექსპლუატაცია.

ქვეყნის მასშტაბით და ჩვენს რეგიონშიც ბოლო წლებში ფიქსირდება ინფრასტრუქტურის განვითარების მაღალი ტემპი, რის შედეგადაც საგრძნობლად გაზრდილია მოთხოვნა სამშენებლო მასალებზე, მათ შორის მაღალი ხარისხის ცემენტზე. შესაბამისად შეიქმნება ახალი სამუშაო ადგილები.

საწარმოს ძირითადი ინფრასტრუქტურა, მათ შორის ნედლეულის სასაწყობო სივრცეები, ასევე საპროექტო წისქვილები განთავსდება გადახურულ შენობაში.

წისქვილის დანადგარები აღიჭურვება სახელოებიანი ფილტრებით, რომლის ეფექტურობა პროექტის მიხედვით 99,96 პროცენტია. პროექტით საწარმო თვეში 15 დღით იმუშავებს. დღიურად 1200 ტონა მზა პროდუქციას გამოუშვებს. ეს არის 960 ტონა კლინკერის(80 %), 180 ტონა ღორღის (15%) და 60 ტონა თაბაშირის (5%) ნაზავი. აქ მთავარი, რაც მოსახლეობამ უნდა იცოდეს, ის არის, რომ აქ მოხდება მხოლოდ დასახელებული ნედლეულის შეკუპაკება და ადგილზე დაფასოება. აქ არ იქნება არავითარი გამონბოლქვი. არ იქნება არც მაზუთი, არც გაზი, მხოლოდ ელექტროენერგიას გამოიყენებთ. იმუშავებს 2 ამრევი „ბარაბანი".

კლინკერს და თაბაშირს სავარაუდოდ თურქეთიდან შემოვიტანთ.

მონტორინგის ჯგუფი ადგილობრივ მოსახლეობას შეხვდება და გზშ-ს განხილვაზე მთ ყველა შეკითხვას გაეცემა პასუხი

–გვითხრა გელა კობალაძემ.

ცემენტის საწარმოს მშენებლობის თემას კვლავ დავუბრუნდებით.

„ვიამაყებთ იმ ფაქტით, რომ 21-ე საუკუნის 20-იან წლებში მხარდამხარ ვმუშაობდით ბახვი ჰესის მშენებლობაზე"

ინტერვიუ ბახვი ჰესის დირექტორთან, გიორგი აბრამიშვილთან

– ბატონო გიორგი, წელსაც, არ ვარღვევთ ტრადიციას და წლის დასაწყისში გვსურს, ბახვი ჰესის პროექტის შესახებ რამდენიმე კითხვა დაგისვათ. მოგვიყვით თუ შეიძლება, როგორ ვითარდება პროექტი?

– პირველ რიგში, მინდა ჩვენს თითოეულ მკითხველს მივულოცო შობა და ახალი წელი. ძვირფასო მკითხველებო, გისურვებთ ჯანმრთელობას, წარმატებას, კეთილდღეობას, ეკონომიკურ წინსვლასა და განვითარებას. როგორც უკვე იცით, ჩვენ მთისპირელებთან ერთად ვაშენებთ ჰესს, რომელიც მრავალი წლის მანძილზე, პირდაპირი მნიშვნელობით, უნდა ემსახუროს საქართველოს ნათელ მომავალს. ბახვი ჰესი კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯია საქართველოს ენერგოდამოუკიდებლობის მოპოვების გრძელ და რთულ გზაზე. გვეამყება, რომ ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად ვახორციელებთ პროექტს, რომელიც რთულ რელიეფზე შენდება და გამოწვევა იქნებოდა ნებისმიერი მშენებლისა თუ ელექტრო ინჟინერისათვის. ბახვი 2 ჰესის პროექტი 2025 წლის ბოლოს უნდა დასრულდეს, შესაბამისად, 2024 წელი გარდამტეხი იყო ჩვენთვის და ცხადია, მნიშვნელოვანი სამუშაოები ჩავატარეთ წლის მანძილზე. ამ პერიოდის განმავლობაში გავიცანით ადგილობრივები, რომლებიც ჩვენს მხარდამხარ შრომობენ და თავებს არ ზოგავენ ამ ურთულესი სამუშაოების ხარისხიანად და დროულად შესრულებისთვის. ჩვენ, ჩვენი გუნდით, უკანავას ტერიტორიაზე არსებულ სამშენებლო ბანაკში ვცხოვრობთ და ბევრ დროს ვატარებთ ერთად. ახლოდან

გაცილებით კარგად ჩანს სიკეთეებიც და პრობლემებიც. ამიტომ, ვცდილობთ, შეძლებისდაგვარად კარგი მეზობლები ვიყოთ და გავუმჯობესოთ საარსებო გარემო. სწორედ ამ მიზანს ემსახურება ბახვი ჰესის სოციალური პროექტები.

–გარკვეულწილად, ფრაზა „ჩვენ ერთად ვაშენებთ" თქვენი 2024 წლის გზავნილი გახდა. როგორც ვხედავ, კომპანია ასრულებას დანაპირებს და სამშენებლო სამუშაოებში ჩართული გყავთ ადგილობრივი მოსახლეობა?

–მეოთხე წელი მიიწურა, რაც პროექტზე მუშაობა დავიწყეთ და შეიძლება ვთქვათ, რომ სწორედ ეს არის ის სიკეთე, რაც რეგიონში ინფრასტრუქტურული პროექტების განვითარებას მოაქვს. ერთის მხრივ, სარგებლის მიმღებები არიან პროექტზე პირდაპირი წესით დასაქმებული ადამიანები და მეორეს მხრივ, პროექტით მოსარგებლე ე.წ. მესამე პირები, რომლებიც გვაწვდიან სხვადასხვა მომსახურებას. ასევე, ის პირები, ვისთვისაც კეთდება ჩვენი სოციალური პროექტები. ბახვი ჰესის შემთხვევაში კი, ის ადამიანებიც, რომლებიც მრჩეველთა საბჭოს წევრები არიან და ამ ფორმატში აქტიური მონაწილეობით, ზრუნავენ თავის რეგიონზე. ამიტომ ვამბობთ, რომ ერთად ვაშენებთ პროექტს, რადგან თითოეული ამ ადამიანის წვლილი უზარმაზარია პროექტის განხორციელების პროცესში. დიდი სურვილი გვაქვს, იქ სადაც ვართ და ვავითარებთ ქვეყნის ენერგეტიკას, ცხოვრება უკეთესი გავხადოთ. გვჯერა, რომ დასავლური სტანდარტებით აშენებული ბახვი ჰესი თავის სიტყვას იტყვის ქვეყნის ენერგოდამოუკიდებლობის გზაზე. ჩვენ კი, ერთად ვიამყებთ იმ ფაქტით, რომ 21-ე საუკუნის 20-იან წლებში მხარდამხარ ვმუშაობდით ბახვი ჰესის მშენებლობაზე.

გვ–6

1924 წლის აჯანყება აჭარა-გურიაში

1924 წლის აჯანყება საქართველოში, ხელისუფლების მხრიდან შეფასებული იქნა, როგორც ავანტიურისტული, ბანდიტური გამოსვლა.

ჯერ კიდევ 1922 წლის კახეთის და ფშავ ხევსურეთის აჯანყების დროს წარმოჩნდა ბათუმის საკითხი. ოსმალეთი საქართველოს დახმარებას ჰპირდებოდა იმ პირობით, რომ თუ ბათუმი თავისუფალ ქალაქად გამოცხადდებოდა, მაშინ ახალციხე-ახალქალაქის მაზრები მას გადაეცემოდა და ბათუმ-ბაქოს რკინიგზა ექსტერიტორიულოად ჩათვლებოდა. მაგრამ ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ და „სამხედრო ცენტრმა“ კატეგორიულად უარი განაცხადეს ამ პირობების მიღებაზე

1923 წელს თბილისში გამართულ საიდუმლო სამხედრო თათბირზე დამტკიცდა აჯანყების გეგმა, რომლის მიხედვით მთავარი დარტყმა გამიზნული იყო თბილისსა და ბათუმზე. „სამხედრო ცენტრის" კონტრდაზვერვის კოორდინატორ პოლკოვნიკ ივანე ნარიკელიძის ცნობით, ბათუმში შექმნილი იყო გაერთიანებული სამხედრო ცენტრის მძლავრი ფილიალი.

1923 წლის დასაწყისში აჯანყების ხელმძღვანელობის მიზნით შეიქმნა დასავლეთ საქართველოს კომიტეტი. მისი გამგებლობის სფეროში შედიოდა მუშაობა ბათუმში, სადაც იმჟამად იმყოფებოდნენ ვასო მგალობლიშვილი და ნიკოლოზ მიქელაძე. ბათუმის მეშვეობით ხერხდებოდა ურთიერთობის დამყარება აჯანყებულთა სხვადასხვა ორგანიზაციებთან. ერთ-ერთი ასეთი იყო „ჩემო" - ჭიათურის მანგანუმის მრეწველთა საზოგადოება. ისტორიულ დოკუმენტში „საქართველოს ანტისაბჭოთა პარტიებისა და ორგანიზაციების მდგომარეობის" შესახებ ვკითხულობთ, რომ სოციალ-ფედერალისტთა ბათუმის ორგანიზაციის წარმომადგენელი იყო გიგა ჩიქოვანი. მენშევიკთა და ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციების პარალელური ორგანიზაცია თედო ქარცივაძის ხელმძღვანელობით ცდილობთა გურიის კომიტეტთან კავშირის დამყარებას, მაგრამ უშედეგოდ. მისი წარმომადგენელი გურიიდან გამოაძევეს, მაშინ მან კავშირი დაამყარა ბათუმის ორგანიზაციასთან

1923 წლიდან საქართველოში ანტირუსული მოძრაობა კიდევ უფრო გაძლიერდა. შეთქმულების წინააღმდეგ საბრძოლველად ხელისუფლება ჰქმნიდა კომისიებს (ე.წ. ხუთეულები და სამეულები). მათი დანიშნულება იყო ანტისაბჭოთა გამოსვლების წინააღმდეგ წითელი ტერორის წარმოება. აჭარაში ახლად დამკვიდრებული საბჭოთა ხელისუფლება რუსეთის არმიის განდიდების მიზნით აღნიშნავდა მნიშვნელოვან ისტორიულ თარიღებს. 1924 წლის 31 ივლისს ხულოში ჩატარდა პირველ მსოფლიო ომში რუსეთის არმიის გამარჯვების 10 წლისთავისადმი მიძღვნილი მიტინგი.

ჯერ კიდევ 1923 წლის 18 თებერვალს აჭარის ხელისუფლებამ მზადყოფნა გამოაცხადა აჯანყებული კერების სალიკვიდაციოდ. მძევლად აიყვანეს აჯანყებულთა ნათესავები. აჭარის საგანგებო კომისიის მიერ დაპატიმრებული იქნა 28 ბეგი, კონფისკირებული იქნა მათი ქონება. აჭარაში გადმოდიოდნენ ახალციხის მხრიდან, ახალციხიდან გადმოსულ მებრძოლ რაზმებს ხელმძღვანელობდნენ ოსმან თურმანიძე და მერისელი დაუდ სანჯაოღლი, მათთან ერთად იბრძოდნენ კახაბრის მცხოვრები ოსმან დელი ხასა ოღლი და ორთაბათუმელი ხასან ოღლი.

ანტისაბჭოთა გამოსვლების საწინააღმდეგოდ აღიარებული იყო ოზურგეთის მებრძოლი კომისიის ხელმძღვანელის, ობოლაძის მეთოდი, რომელიც ითვალისწინებდა საბჭოთა ხელისუფლებისთვის შეურიგებელი პირების ადგილზე დახვრეტას. აჯანყებულთა რაზმები სევერიან ქარცივაძის და ვლასი მანწკავას ხელმძღვანელობით გურიიდან აჭარაში გადმოვიდნენ და ზოიძის სახლს აფარებდნენ თავს. აჭარის სახკომსაბჭოს თავმჯდომარემ თახსიმ ხიმშიაშვილმა მათ წინააღმდეგ საბრძოლველად გააგზავნა პარტიული სამეული და შეიარაღა ღორჯომის მოსახლეობა. ვლასი მაწკავას რაზმი იძულებული გახდა ხინოში გადმოსულიყო. მემედ აბაშიძე თახსიმ ხიმშიაშვილს ავანტიურისტულ ქმედებაში სდებდა ბრალს. 1924 წელს თახსიმ ხიმშიაშვილის (მას მოიხსენიებდნენ „აჭარისტანის ლენინის" სახელით) მიერ ქედაში მოწყობილი სესია პროვოკაციულ ხასიათს ატარებდა. მისი მიზანი იყო ანტიქართული ძალების გამოვლინება, მიმხრობა და საკუთარი მიზნებისთვის გამოყენება.

აჯანყებულები ცდილობდნენ თურქეთში გადასვლას. დიდი ორთაბრძოლა გაიმართა სამხედრო გზაზე. აჯანყებულთა მხრიდან ბრძოლაში დაიღუპა ვლასი მანწკავა, ხოლო წითელ არმიელთაგან გრებენშიკოვი და ოგანეზოვი. დააპატიმრეს გენადი და გრამიტონ ნიკოლაიშვილები, ფილიპე მეგრელიძე, ჰუსეინ გოგიტიძე, მამუდ გუგუნავა, მამუდ ანდღულაძე და სხვა. დაპატიმრებულთაგან დახვრეტილი იქნა ანდღულაძე არტემი და სირაძე ისააკი

თბილისიდან ბათუმში დამკომმა ივანე შარაშიძე გააგზავნა.რომელმაც ბეგებს ნური აბაშიძეს, ყადირ აბაშიძეს და დედე ბეჟანიძეს წერილი გადასცა და მოუწოდა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ერთიანი ბრძოლისკენ. აჭარელ ბეგებს კავშირი ჰქონდათ დამკომის ბათუმის წარმომადგენელ გენერალ გიორგი ფურცელაძესა და ვასილ მგალობლიშვილთან. საბჭოთა ხელისუფლებისადმი მტრულად იყვნენ განწყობილნი ქედის მაზრის სოფელ მახუნცეთში არსებული შაქრო ირემაძის და ხულოში მოქმედი ხასან აბდი ოღლის მებრძოლი ჯგუფები.

საბრძოლო მოქმედებები წარმოებდა ქობულეთში, ჩოლოქთან და ქაქუთის მიმართულებით. გურია-აჭარის გაერთიანებულ აჯანყებულ რაზმს ხელმძღვანელობდნენ ნიკოლოზ ურუშაძე და მახმუდ დიასამიძე. ანტისაბჭოთა გამოსვლები მოეწყო აჭარის სოფლებში, ღღვანსა და კვიახიძეებში.

ქობულეთის რაიონის საგანგებო სამეულს ხელმძღვანელობდა რეჯებ გოხიძე, წევრები მელქისედეკ გუნთაიშვილი და ირაკლი ლომია. მებრძოლი რაზმები იქმნებოდა მოსახლეობიდანაც, რომელშიც შედიოდა 30-40 კაცი. ქობულეთის რაიონში აჯანყებულთა რაზმებს ხელმძღვანელობდნენ გოგი ღლონტი, ხასან გედევანიძე მურად მჟავანაძე, შალვა დოლიძე, ხუსეინ კალანდია, ტუღუში, სირაძე, რომლებიც გაერთიანებულნი იყვნენ ოზურგეთიდან აჭარაში გადმოსული ვლასი მანწკავას რაზმში. მემედ აბაშიძე ვლასი მანწკავას მკლელობაში ბრალს სდებდა აჭარცაკის თავმჯდომარეს თახსიმ ხიმშიაშვილს, რომელმაც 1924 წელს, აჯანყების დაწყების წინ ოსმან მოწყობილთან ერთად ანტისაბჭოთა ძალების გამოვლენის მიზნით ქედაში მოიწვია სესია და მოითხოვა აჭარის საქართველოდან გამოყოფა. სახლკომსაბჭოსთან არსებული საგანგებო კომისია ადგენდა საინფორმაციო ბიულეტენს და აგზავნიდა კავშირის მასშტაბით. მასში აღნიშნული იყო რაიონში არსებული პოლიტიკური მდგომარეობა."

1924 წლის 8 სექტემბერს თხილნარის რაიონში მდინარე ჭყონისის მიმართულებით გამოჩნდა თვითმფრინავი, რომელმაც სოფელ ყარადერეში ჩამოაგდო 2 ბომბი. 30 კაციანი რაზმი აპირებდა ამ მიმართულებით გარღვევას. შეტაკება მოხდა კომაროვის რაზმთან, რომელიც იცავდა ხულოს საზღვრებს. აჯანყებულები ცდილობდნენ აჭარიდან გადასულიყვნენ ახალციხეში. ხულოს, ქედის საგანგებო სამეულს ხელმძღვანელობდა შერიფ აბდიბა. აჭარაში მოქმედებდა კომუნარების ასეულები (ხელმძღვანელი ჩაჩბა). ყოველი ასეული იყოფოდა 2 კატეგორიად 1) საყარაულო 2) საბრძოლო, საყარაულოს ხელმძღვანელობდა ხურცილავა, პირველ ასეულში გაერთიანებულნი იყვნენ ორგანიზებული პარტუჯრედები, მეორეში კი გამოცდილი სამხედრო პირები. ჭყონისის მაზრაში საყარაულო პოსტები განლაგებული იყო ერგეში, კაპანდიბში, სტეფანოვკაში, ბარცხანაში, ორთაბათუმში.

შავ ზღვას იცავდა სამხედრო გემი „სოციალიზმის გამარჯვება". 1924 წლის 15 იანვარს ბათუმის პორტში გამოჩნდა ამერიკული გემი. დასავლეთ საქართველოს საბჭოთა შეიარაღებული ძალების მეთაური იყო იანოვსკი, შტაბის უფროსი ვინოგრადოვი. შავი ზღვის სანაპიროს მცველთა რაზმის უფროსი იყო სკალოვსკი. ბათუმის რეგიონის კომისარი ტოლკუნოვი. კავშირგაბმულობის გობეჩია საბჭოთა ჯარებს ზურგს უმაგრებდა სასურსათო, სატრანსპორტო და სამედიცინო სამეულები. ტრანსპორტის და სურსათის სამეულები მოსახლეობაში ანაწილებდნენ პროდუქტებს, ხოლო სამედიცინო კონტროლს უწევდა მოსახლეობის სამკურნალო წამლებით მომარაგებას. აჭარის საგანგებო კომისიამ გამოიტანა გადაწყვეტილება 21 ყოფილი გენერლის დახვრეტის შესახებ. 1924 წელს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი მ. კახიანი საქართველოში განვითარებულ მოვლენებსა და პარტიის მცდარ პოლიტიკას შორის კავშირს ვერ ხედავდა და მთავარ გამომწვევ მიზეზად ასახელებდა საქართველოს საზღვრებს იქით არსებული გარე ძალების ქმედებას. მას მიაჩნდა, რომ 1924 წლის ავანტიურისტული გამოსვლები ნაკარნახევი იყო საზღვარგარეთ არსებული სამხედრო ცენტრის მიერ, რომლის მიზანი იყო საბჭოთა ხელისფლების დისკრედიტაცია და ევროპის ქვეყნების მხარდაჭერა, რომელიც უშედეგოდ დამთავრდა. ევროპის ქვეყნები აჯანყებულებს დახმარებას ჰპირდებოდნენ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში. მემედ აბაშიძის და მის თანამებრძოლთა სახით იყვნენ ადამიანები,რომლებიც განსხვავებული რელიგიური რწმენისა თუ დაკავებული თანამდებობის მიუხედავად, გამოირჩეოდნენ ეროვნული მრწამსით, საქართველოში და მის გარეთ არსებული ეროვნული ძალების მთავარ მიზანს წარმოადგენდა დამოუკიდებლობის აღდგენა. განსაკუთრებული ავტორიტეტით სარგებლობდნენ ის ეროვნული ძალები, რომლებიც შეურიგებელნი იყვნენ რუსულ-საბჭოური შოვინისტური პოლიტიკის მიმართ, რუსეთის ხელისუფლება აჭარლებს ჰყოფდა 2 ნაწილად, საბჭოთა აჭარლები და თურქეთის აჭარლები და ამ უკანასკნელს ბრალს სდებდა ღალატში.

1924 წლის 29 აგვისტოდან აჭარაში გამოცხადდა სამხედრო წესები. საღამოს 10 საათიდან დილის 6 საათამდე დაწესდდა კომენდანტის საათი. დამატებითი ზომები იქნა მიღებული საზღვრების გამაგრებისთვის. აჯანყებულ უბნებში ცოცხალ ძალასთან ერთად გაიგზავნა საომარი იარაღი, სურსათსანოვაგე. ადგილზე იქმნებოდა 200-300 კაციანი სამხედრო რაზმები. სულ აჭარაში სამხედრო მდგომარეობაზე გადავიდა 3000 კაცი. აჯანყებულები ცდილობდნენ ქაქუთის მხრიდან ქობულეთში გაჭრას, მაგრამ მათ ეს ვერ მოახერხეს. ხულოს და ქედის მებრძოლმა ხუთეულებმა გამოსვლები ჩაახშვეს ბახმაროში. ბათუმში დააპატიმრეს სამხედრო ორგანიზაციის ხელმძღვანელი წიტაიშვილი, გენერალები ყარალაშვილი, ფურცელაძე. და ბათუმის კომიტეტის წევრები საბაშვილი, ცენტერაძე. 1924 წლის 28 აგვისტოდან 3 სექტემბრის ჩათვლით ოზურგეთში გააგზავნეს ტყვიამფრქვევებით შეიარაღებული 400 კომუნარი, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ ცხომელიძე, ქავთარაძე, კილაძე, ახალაძე, რამიშვილი.29 აგვისტოს დილით დაიკავეს სუფსა, ნატანები და მივიდნენ სამტრედიამდე.

4 სექტემბერს ოზურგეთში დამატებით შევიდა 100 კომუნარი.ფოთში დასახმარებლად გააგზავნეს გემი „კორშუნი". აჭარის საგანგებო კომისიამ ხელში ჩაიგდო აჯანყებულთა საიდუმლო შრიფტი, სამხედრო გეგმა და წერილები. ზემო აჭარაში ანტისაბჭოთა აჯანყების წინაღმდეგ საბრძოლველად მებრძოლ სამეულებთან ერთად მივლინებულნი იყვნენ პარტმუშაკები. 1924 წლის 8 სექტემბერს ბათუმში გაიმართა მიტინგი. სადაც ფილიპე მახარაძემ შეაქო აჭარაში მოქმედი მებრძოლი კომისია და იგი წარდგენილი იქნა წითელი ვარსკვლავის ორდენზე. 1924 წლის 9 სექტემბერს გამოქვეყნებულ მისასალმებელ წერილში, აჭარის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და სახკომსაბჭო მადლობას უცხადებდა გლეხებსა და მუშებს ანტისაბჭოთა აჯანყების ჩახშობაში აქტიური მონაწილეობისთვის. 1924 წლის 9 სექტემბერს სამხედრო წესები მოიხსნა. 1924 წლის წარუმატებელი აჯანყების შემდეგ ქართული ემიგრაცია გაიყო ორ დიდ ბანაკად. 1925 წელს მენშევიკების გადმობირების მიზნით აჭარის ხელისუფლებასთან შეიქმნა მენშევიკებთან მომუშავე განყოფლება, გაწეული მუშაობის საფუძველზე ნაწილი დაბრუნდა საქართველოში. მათ აღიარეს, რომ წლების განმავლობაში ეწეოდნენ დაუნდობელ ბრძოლას რუსეთის ხელისუფლების წინააღმდეგ, დიდი ბრძოლების შემდეგ მათი შეხედულებები დამარცხდა, ისინი გაემიჯნენ კომუნისტებს და ჩამოშორდნენ პოლიტიკურ საქმიანობას. 1926 წლის 5 თებერვალს ბათუმის აკადემიურ თეატრში დიდი სიხარულით შეხვდნენ უცხოეთიდან სამშობლოში დაბრუნებულ ემიგრანტებს. პარიზიდან ჩამოვიდნენ: ივანე კარუხაშვილი, სოსო გოგინაშვილი, ივანე იმნაძე, ნინო როყვა, ივანე ნაცვლიშვილი, ლ. ჯაფარიძე, ს. გლახოიანი. ემიგრანტებმა შემდეგი შინაარსის სიტყვებით მიმართეს ქართველ ხალხს: „1921 წელს ჩვენ დავტოვეთ საქართველო და გავემგზავრეთ ევროპაში. ჩვენ ყველანი გატაცებულნი ვიყავით იმ იმედით, რომ აქ დამარცხებულნი, იქ გავძლიერდებოდით და ევროპის საშუალებით გავრეკავდით ბოლშევიკებს, მაგრამ საშინლად მოვტყუვდით. საქართველომ დაკარგა დამოუკიდებლობა მაშინ, როცა წითელი დროშა გაცვალა სამფეროვან დროშაზე, ჩოლოყაშვილის დროშაზე" საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკა ერთა ლიგაში არ მიიღეს და აღიარეს ახლად შექმნილი საბჭოთა რუსეთის იმპერიული საზღვრები. ისტორიული პარალელის გავლებაც კი შეიძლება 1924 წლის აგვისტოს აჯანყებას და 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომს შორის. დღეს არსებული დამოუკიდებელი დემოკრატიული საქართველოს საფუძველს წარმოადგენს ილიას მსოფლმხედველობა „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს" ბათუმში შეკრებაზე დასმულ კითხვას თუ რატომ ვერ დაბრუნდა ნოე ჟორდანია სამშობლოში, ემიგრანტებმა უპასუხეს,რომ მასზეა ხალხის სისხლი. პროფესორ ვახტანგ გურულს მიაჩნია, რომ ნოე ჟორდანიის მთავრობამ კაპიტულაციაზე ხელი არ მოაწერა, წავიდა ევროპაში, მოერიდა ქართველი ხალხის უაზრო სისხლის ღვრას და სამომავლოდ დამოუკიდებელ სახელმწიფოსაც შეუნარჩუნა იურიდიული საფუძვლები, რაც 70 წლიანი რუსულ-საბჭოური ოკუპაციის შემდეგ, 1991 წლის 9 აპრილს გამარჯვებულ, დამოუკიდებელ ქართულ სახელმწიფოს დაედო საფუძვლად.

1925 წლის ივლისში დააპატიმრეს ყოფილი მენშევიკები, ლავრენტი კოლაიშვილი, იაკიმ ფირცხალაიშვილი, გ. ლომჯარია. 1925 წლის 15 ოქტომბერს ცხმორისში (ქედა) ჩატარდა დახურული კრება, რომელმაც დაგმო ქედაში. თახსიმ ხიმშიაშვილის მიერ მოწყობილი სესიის დადგენილება, ვითომცდა საქართველო აწარმოებდა აჭარის ფუხარა ხალხის მიმართ კოლონიალურ, ნაციონალ-შოვინისტურ პოლიტიკას და ემსახურებოდა კერძო პირების ინტერესებს.მათ უკანონოდ გამოაცხადეს 12 ოქტომბერს ქედაში მოწვეული აჭარცაკის მესამე სესია. აჭაროლქკომის მდივნის თენგიზ ჟღენტის სახელზე გაგზავნილ წერილში აღნიშნულია, რომ ქედის მაზრიდან ანგორის მთავრობის სახელზე იგზავნებოდა თხოვნები ოსმალეთში გადასახლების შესახებ, რასაც მოჰყვებოდა ქემალის მიმართვა გ. ჩიჩერინისადმი და არეულობა აჭარაში. დასკვნის სახით ნათქვამია, რომ აჭარის ფუხარა ხალხი არსად წასვლას არ აპირებდა და რომ ოსმალეთში გადახვეწილებიც კი მისტირიან საბჭოთა ხელისუფლებას და რომ სულეიმან ლორთქიფანიძე ჩირქს სცხებდა აჭარის მშრომელ ხალხს.

1925 წლის 7 ივნისს, გოროდოკში, ჯალაღონიას სახლში დააპატიმრეს ემიგრაციიდან არალეგალურად ჩამოსული მენშევიკი კონსტანტინე სულაქველიძე. მას პირადობის მოწმობა ჰქონდა გაცემული სოფელ სვირის მცხოვრებ გიორგი კაკაურიძის სახელზე.

მიხეილ მჭედლიშვილი წიგნში „1924 წლის სახალხო აჯანყება" სვამს კითხვას თუ რატომ მხოლოდ საქართველოში მოხდა რუსეთის საოკუპაციო ხელისუფლების წინააღმდეგ აჯანყება და სხვაგან არსად? და იქვე პასუხობს, რომ იგი წინასწარ შეამზადეს ბოლშევიკებმა. სტალინს უთქვამს კიდეც, თქვენ თუ ასეთი ბრიყვები იყავით, ვერ წარმოვიდგენდი, როგორ შეიძლება ასეთი დიდებული შემთხვევის ხელიდან გაშვებაო.

აპოლონ სილაგაძე და ვახტანგ გურული ერთგან აღნიშნავენ, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო დროული და გადამჭრელი ღონისძიებები ვერ გაატარა აჭარაში შექმნილი მდგომარეობის გამოსწორების მიზნით, მოსახლეობასთან დამოკიდებულების საქმეში დაუშვა გაუმართლებელი შეცდომა და ამით დაუპირისპირდა აჭარაში არსებულ ქართული ორიენტაციის ძალებს

ამრიგად, მე-20 საუკუნის 20-იან წლებში საქართველოში მიმდინარე ეროვნულ - განმათავისუფლებელებელი ბრძოლის ისტორიიდან ერთი დასკვნის გაკეთება შეიძლება, რომ ქართველი კაცი არასოდეს შეგუებია მონობას და ყოველდღე იბრძოდა სამშობლოს დამოუკიდებლობის აღდგენისთვის, რასაც დღეს მიაღწია კიდეც, მაგრამ მას შენარჩუნება და გაძლიერება-განმტკიცება სჭირდება.

მერაბ მეგრელიშვილი
ნინო ჯაველიძე

როგორ მოასწარით ამდენი...



წერილს „ბიობიბლიოგრაფიის“ განმარტებით ვიწყებ.

შორს წასვლა არ მჭირდება.

„გუგლში“ ჩავწერ და ეროვნული ბიბლიოთეკის რომელიმე ლექსიკონიდან „ამოაგდებს“.

„ბიობიბლიოგრაფია

ბერძნ. **bios**

„სიცოცხლე“ და „ბიბლოგრაფია",

ბიბლიოგრაფიის სახეობა, რომელშიც წარმოდგენილია გამოქვეყნებულ ნაწარმოებთა შესახებ ინფორმაციასთან ერთად მათი ავტორების ბიოგრაფიული მონაცემები და მათდამი მიძღვნილი ლიტერატურის შესახებ ცნობები (სხვანაირად: პერსონალური ბიბლიოგრაფია).“

„ბიობიბლიოგრაფიის“ განმარტების აქ მოტანის მიზეზი გაზეთ „ალიონის“ მკითხველისთვის მხოლოდ გახსება/ გაცნობა არ არის. იმის შეხსენებაცაა, შედგენა/გამოცემა დიდ შრომას, პროფესიონალიზმს, პატივისცემას და დაფასებას რომ მოითხოვს, იმის,ვის ბიობიოგრაფიის სდგენა/გამოცემას კიდებ ხელს.

ასეთი ბიბლიობიოგრაფიაა „ანზორ ერქომაშვილი“ – შედგენილი ჩემი კოლეგის ციური კოჭლაშვილის და გამოცემული ეროვნული ბიბლიოთეკის მიერ.

სწორედ, ასეთი „ბიბლიობიოგრაფია“ მიდევს ახლა სამუშაო მაგიდაზე და უკვე მერამდენედ ხან – ვფურცლავ და ხან – ვკითხულობ.

ბიბლიოგრაფია ბატონ ანზორს ერქომაშვილისა და ბუნებრივია, მასზე ვისაუბრებ, საკუთარ მოგონებებსაც ჩავურთავ და,აბა, ისე როგორ იქნება, მაკვანეთელი დედა არ ვახსენო...

ზუსტად ათი წლის წინ.

ბატონი ანზორის საიუბილეოდ კრებული უნდა გამოსულიყო...

სწორედ, იმ კრებულის რედაქტორმა ქალბატონმა თამარ გელოვანმა, ბატონ ანზორზე წერილის დაწერა შემომთავაზა.

რომ შემომთავაზა გამიკვირდა...

გაკვირვება სიხარულმა შეცვალა...

სიხარული – შიშმა.

აბა, რა უნდა დავწერო ადამიანზე, ვისაც მთელი საქართველო კი არა, ლამის მსოფლიო იცნობს და იცნობს არა მხოლოდ სიმღერით.

სიმღერაზე,მომღერლობაზე, „რუსთავის“ ჩამოყალიბებასა და ხელმძღვანელეობაზე, მთელ მსოფლიოშო მოგზაურობასა და უდიდეს შრომაზე, გადარჩენილ და აღდგენილ სიმღერებზე, აბა, მე სიტყვებს როგორ დავძრავ. ბიბლიოთეკარი ვარ, გავკადნიერდები და წიგნებზე ვიტყვი რამდენიმე სიტყვას.

და მაინც სიმღერით დავიწყებ.

ასე მგონია, არა, რატომ მგონია, ზუსტას ასეა, ბატონ ანზორს მეც მთელი ცხოვრება ვიცნობ. ხუთი წლის ვიქნებოდი, ხაზის რადიოში პირველად მოუსმინე ანსამბლ „რუსთავს“. თუ მეხსიერება არ მღალატობს, რუსთავი „დაიგვიანეს“ მღეროდა (ხომ გახსოვთ, აკაკი წერეთლის „პატარა კახიდან“ ერთი პატარა და ბევრისმომცველი ნაწყვეტია!). შეიძლება პირველი „სადიდო“ სიმღერაც კი იყო, სიამოვნებით რომ მოვუსმინე.

„მოგწონს“ მკითხა დედამ. თავი დავუქნიე. „რუსთავში“ ხუთი მაკვანეთელია“ – გააგრძელა დედამ. დედა მაკვანეთში დაიბადა და გაიზარდა. „ანსამბლის ხელმძღვანელი ანზორ ერქომაიშვილია“. ცნობილი მომღერლების შთამომავალი.

სიტყვა „შთამომავალიც“ იმ დროიდან ჩარჩა გონებასა და მგონი სულსაც კი.

ბატონ ანზორთან მეორე „შეხვედრა“ 1980 წელს შედგა. ბიბიაჩემის სახლში. მახსოვს ზამთარი იყო. ოთახში სადაც მთელ ოჯახს მოეყარა თავი, მაგიდაზე წიგნი შევნიშნე.

ანზორ ერქომაშვილი, „ბაბუა“ ეწერა ამ საშუალო ზომის წიგნს.

ახალგამოსულ წიგნს უკვე ეტყობოდა მრავალი ხელის არა მხოლოდ შევლება...

წონებიათ და ყველას წაეკითხა.

ჩავუჯექი.

ბაბუებს არ მოვსწრებივარ.

არც სიყვარული ვიცოდი მათი ბუნებრივია.

აი, ასე უნდა გიყვარდეს ბაბუა და აი ასე უნდა გრძნოდე თუ აღიქვამდე მის ღვაწლსა და ამაგს.

დიდ ადამიანებს შეუძლიათ ასე.

8 წლის შემდეგ „შავი შაშვი ჩიოდა...“ გამოიცა...

არა, „ბაბუას" უნდა დავუბრუნდე.

პატარა „ნოველით“ დაწყებული 55 „არასტანდარტულ“ გვერდში ჩატეული დიდი სიყვარულის ისტორია ცოცხლდება შენ თვალწინ.

ერთი სული მაქვს მოგიყვეთ, მაგრამ არ ეგების...

ხომ ვიცი ყველას წაკითხული გექნებათ!

ძნელი დასაჯერებელი ამბავი კი არის, მაგრამ რომ გაგხსენდება ვინ წერს და ვისზეა დაწერილი დაუჯერებ!

აბა რას იზამ?!

დაუჯერებ და მეორედაც წაიკითხავ, უცილობლად...

კიდევ ბევრ რამეს, კი არა, სუყველაფერს დაუჯერებ ბატონ ანზორს „ბაბუაში“ მოთხრობილი ამბებიდან.

არა, არა...

თხრობა, „ნოველით უნდა გავაგრძელო“...

გავიხსენებ მე...

გაგახსენებ,შენც და...

წარმოვიდგენ როგორ უჭირავს გაზეთ „ალიონის“ ეს ნომერი ჩემს ძვირფას კოლეგას...

„შავი შაშვი ჩიოოო-და...“ ამეკვიატა სასაფლაოსკენ მიმავალს ძველი გურული სიმღერის მელოდია. ბევრჯერ მომისმენია იგი და არასოდეს ისე არ განმიცდია, როგორც ახლა. მე დღეს პირველად მივდივარ იქ, სადაც ერთი თვის წინათ ამ სიმღერის ჯადოქარი შემსრულებელი, ჩემი ბაბუა დავტოვე.

ადრიანი გაზაფხული იდგა. საღამოდებოდა. მზე ნახევრად ჩაგორებულიყო შავ ზღვაში. ნელა ვათვალიერებდი მიდამოს და ვუახლოვდებოდი ერქომაიშვილების საძვალეს აკვიატებული „შავი შაშვის“ მელოდია ნამდვილი შაშვის გალობამ შემაწყვეტინა. შაშვის ძებნა დიდხანს არ დამჭირვებია. ნაზამთრალი, ფოთლებისგან გამოძარცულ უზარმაზარი ჭადრის ერთ ტოტზე, რომელიც ბაბუას საფლავს დაჰყურებს, შავი შაშვი იჯდა და „ჩიოდა“...

საოცარია საფლავთან შორიახლო შევჩერდი, რომ შაშვი არ დამეფრთხო. ასე ვიდექი რამდენიმე ხანს. შაშვი თვალდახუჭული უსტვენდა თავის საოცარი მელოდიებს და ჩემს სიახლოვეს არაფრად აგდებდა. ფრთხილად მივუახლოვდი საფლავს და ჩამოვჯექი. შაშვმა გალობა შეწყვიტა. ალბათ დაიღალა და გაფრინდება-მეთქი, გავიფიქრე გულდამითხრა.

წყვეტილმა, მაგრამ მან ადგილი მოინაცვლა ტოტის წვერისაკენ, რომელმაც შაშვის სიმძიმეს ვერ გაუძლო და თითქმის მიწამდე დახარა მგალობელი. შაშვი გალობდა, ტოტი ნელ-ნელა თანაბრად ირხეოდა მიწისკენ და მომეჩვენა, რომ ფრინველი ხმამაღლა ჩაჰგალობდა იმ კაცს, რომელსაც, ალბათ, ყველაზე მეტად შეეძლო გაეგო მისი გალობის ფასი.

თვალები დავხუჭე და მოგონებებში ჩავიძირე...“

იცი, სულ რამდენიმე წამის წინ, თვალები მეც დავხუჭე და ისე გავიხსენე ბატონი ანზორის ნამდვილი გაცნობა.

2006 წელია.

სამოქალაქო განათლების დეპარტამენტის დირექტორი ვარ იმხანად.

სამუშაო ოთახში ერთ-ერთი დირექტორი, ჩემი უშუალო უფროსი, ემზარ ჯგერენაია შემოვიდა და...

„წამოდი, ბანონ ანზორს, გააგცნობ!“ ხმაში აღელვება შეპარულმა ბატონი ანზორი ერთვნულ ბიბლიოთეკას სტუმრობდა – ძვირფასი საჩუქრით, თუ არ ვცდები ათზე მეტი „ქართული ხალხური სიმღერა“ გამომწვევად მიმზერა ქალბატონი ციურის სამუშაო მაგიდიდან...

– სამოქალაქო დეპარტამენტის დირექტორი უფროსი, გიო კილაძეა, მაკვანეთელი ჰყავს დედა, თქვენთვიდ მინდოდა გამეცნო.

– რა გვარია დედა - მკითხა ბატონმა ანზორმა და ხელი გამომიწოდა. - მჯერა გამოწვდილი ხელი, ყოველთვის თბილია და მაინც, უთბილედი ხელი ჰქონდა ბატონ ანზორს.

– ქობულაძე. – ვუთხარი მე.

– დეიდაჩემი ლენა თქვენთან სწავლობდა!

– არა მხოლოდ ლენა სწავლობდა ჩემთან! ჩვენი დირექტორი ქალბატონი თამარი გახლდა!- ღმერთო ჩემო! რა სიყვარული ჩააქსოვა ნათქვამში! – კარგი პედაგოგი! დირექტორი და ქალბატონი იყო!

დავემშვიდობე და წამოვედი.

ისეთი გახარებული ვიყავი, მაშინ და გახარებული ვარ ახლაც!

ასე იცის კარგმა თუ ტკბილმა მოგონებამ!

2018 წელს გამომცემლობა „უსტარმა“ ბატონი ანზორის დიდი სიყვარულით (განა, რომელიმე სხვანაირად არის დაწერილი?!) „გური და ტრისტან სიხარულიძეები“ გამოსცა, საიდანაც ვრცელი ამონარიდი აქ რომ არ მოვიტანო, ვერაფრით ვიზამ!

ჩემთვის მეტად მნიშვნელოვან ისტორია ბატონი ტრისტანი იხსენებს, სხვათაშორის, ამ ისტორიის შედარებით ვრცელი ვარიანტი პირადად მოვისმინე ბატონი ტრისტანისგან! მეტად მნიშვნელოვანი ღონისძიების დასკვნით ეტაპზე მქონდა ბედნიერება გაცნობისა და მოსმენისა... .

„ერთ დღეს ილარიონ ბიძიამ თამარ ქობულაძის ოჯახში წაგვიყვანა. თამარ მასწავლებელი მაკვანეთის სკოლის დირექტორად დააწინაურეს. იგი შესანიშნავი პედაგოგი და არაჩვეულებრივი პიროვნება გახთათ. იმ დღეს თამარ მასწავლებელს სტუმრები ყავდა თბილისიდან მისი ძმა, კოტე ქობულაძე ჩამევიდა, რომელიც თბილისში ერთ-ერთი საშუალო სკოლის დირექტორი იყო. მას თან ახთა მისი ბიძაშვილი, გამოჩენილი მხატვარი სერგო ქობულაძე. სერგოს მშობლები მაკვანეთიდან იყვენ, ამიტომ სერგოც ხშირად ჩამოდიოდა თავის ნათესავებთან. ჩვენთან ერთად თამარ მასწავლებელს ეწვიენ სოფლის განთქმული მომღერლები ტელე იობიშვილი, გიორგი ვაშალომიძე, არსენ და მიშა არობელიძეები, ლავრენტი თოიძე, სოფლის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, შოთა ცეცხლაძე და სხვა. თამადა კოტე ქობულაძე იყო. კოტე მეტად წარმოსადეგი პიროვნება გახთათ, მაღალი, მხარბეჭიანი, ლამაზი გარეგნობის, იშვიათი სიტყვაპასუხით. მის მიერ წარმოთქმული სადღეგძელოები დღემდე მახსოვს. არაჩვეულებრივი საღამო იყო, სტუმრებმა შესანიშნავი დრო გაატარეს, ითქვა ბევრი სადღეგძელო, უფრო მეტი სიმღერა და რაფერც ბატონმა სერგო ქობულაძემ სადღეგძელოთი თქვა, ჩვენ დაუვიწყარი საღამო ვაჩუქეთ.“

დედაც საინტერესოდ ჰყვება ამ ისტორიას.

„ბაბუას“ ვუბრუნდები.

სწორედ „ბაბუს“ გამოისობით, შორეულ 1980-ში უკვე ვიცოდი



„მომღერლებს საქართვრლოში რა გამოლევს და მაინც გურული სიმღერების ისთი შემსრულებლები, როგორებიც ძმები არტემ, ანანია და ვლადიმერ ერქომაშვილები იყვნენ, იშვიათია“.

ბატონ ვლადიმერს „ვიცნობდი“...

ლეგენდარული ანსამბლის „ელესას" ხელმძღვანელი ბრძანდებოდა წლების განმავლობაში.

წერილის წერისას „იუთუბს" ვესტუმრე.

არტემ, ანანია და ვლადიმერ ერქომაიშვილების ნამღერ „შავი შაშვის“ 1977 წლის ჩანაწერს მოვუსმინე...

განა ერთჯერ...

განა - ორჯერ

„გიდლის დასაკიდი თოკის მარყუჟივით გამონასკვნილ კრიმანჭულსაც“ მოვუსმენე და წერა განვაგრძე...

კიდევ ერთი ამონარიდი მინდა გავიხსენო „ბაბუადან“ და შემდეგ „ბიობიბლიოგრაფიას“ დავუბრუნდები.

სტრუქტურაზეც გიამბობთ...

რედაქტორზეც...

ანოტაციასაც გაგაცნობთ და ბატონი ანზორის ბიოგრაფიასაც...

არც დაწერილი თუ შედგენილი წიგნები და კრებულები გამომრჩება და მაინც..

განსაკუთრებულ ყურადღებას იმ წიგნებსა და კრებულებს დავუთმობ მე რომ თავი შემაყვარეს და რომელთაგანაც რამდენიმე „ჩემმა გამომცემლობამ“ გამოსცა!

რამხელა პატივია, ხომ გესმით, ხალხო!

„როცა თბილისში მაცილებდა, ბაბუამ მთხოვა, იქნებ შეეცადო ეგ სიმღერები და საგალობლები კონსერვატორიის ბიჭებს შეასწავლოო" - წერს ბატონი ანზორი და აგრძელებს *„ასე ჩაეყარა საფუძველი შემდეგში უკვე ცნობილ კონსერვატორიაში ვოკალურ ანსამბლ „ვორდელას“.*

წერილის წერისას „იუთუბს" ვესტუმრე.

არტემ, ანანია და ვლადიმერ ერქომაიშვილების ნამღერ „შავი შაშვის“ 1977 წლის ჩანაწერს მოვუ-სმინე...

განა ერთჯერ...

განა - ორჯერ

„გიდლის დასაკიდი თოკის მარყუჟივით გამონასკვნილ კრიმანჭულსაც“ მოვუსმენე და წერა განვაგრძე... „ბაბუას" კიდევ ერთხელ წავიკითხე.

წავიკითხავ და კიდევ ერთხელ ვიგრძნობ, როგორ უყვარს ამ დიდებულ ადამიანს ყველაფერი ლამაზი და მშვენიერი. უყვარს და ლამაზად გადმოცემაც შეუძლია.

გიო კილაძე

სულთათანა

ანჟელა არსენიძის ხსოვნა



უდიდესი მწუხარებით და ტკივილით დადგა 2025 წლის 11 იანვარი, გარდაიცვალა ბრწყინვალე დედა, შესანიშნავი მოქალაქე, ერთგული მეგობარი, ფრიდონ ჭანუყვაძის მეუღლე ანჟელა არსენიძე.

ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ ბატონი ფრიდონი და ქალბატონი ანჟელა ერთ დღეს 1937 წლის 10 ოქტომბერს დაიბადნენ, ერთად სწავლობდნენ სას.სამ ინსტიტუტში აგროქიმიანიადაგმცოდნეობის ფაკულტეტზე, შექმნეს ოჯახი, აღზარდეს ორი შესანიშნავი შვილი.

ქალბატონი ანჟელა ლაბორატორიის დაარსებიდან 30 წლის მანძილზე იყო სასუქების ანალიზების განყოფილების ჯგუფის უფროსი, გამოირჩეოდა დიდი პასუხისმგებლობით, მის მიერ ჩატარებული საკონტროლო თუ გეგმიური ნიმუშების ანალიზები გამოირჩეოდა სიზუსტით და ყოველთვის დადებით შეფასებას იმსახურებდა.

ბედის უკუღმართობამ იმსხვერპლა ახალგაზრდა, პატიოსნებით აღსავსე ვაჟიშვილი-შალვა ჭანუყვაძე, მაგრამ მშობლებმა მწუხარებით და სინანულით გააგრძელეს ცხოვრება, ქალიშვილი ხათუნა ჭანუყვაძე გახლავთ სამაგალითო მოქალაქე, მიღებული და დაფასებული პოლიციის სამმართველოში, უაღრესად კეთილსინდისიერი, მინდობილი საქმისადმი დიდი პასუხისმგებლობით შემსრულებელი თანამშრ-ომელი.

ვალმოხდილნი წავიდნენ ჩვენგან ბატონი ფრიდონი და ქალბატონი ანჟელა. ისინი დააკლდა არამარტო ოჯახს, სანათესაოს, სოფელს და ჩვენ მის ერთგულ მეგობრებსა და ახლობლებს.

უფალმა სასუფეველი დაუმკვიდროს ცათა შინა.

ადამ ბერიძის სახელობის ნიადაგის, სურსათისა და მცენარეთა ინტეგრირებული დაცვის დიაგნოსტიკური ცენტრი „ანასეულის“ თანამშრომლები.

„ვიამაყებთ იმ ფაქტით, რომ 21-ე საუკუნის 20-იან წლებში მხარდამხარ ვმუშაობდით ბახვი ჰესის მშენებლობაზე“

ინტერვიუ ბახვი ჰესის დირექტორთან, გიორგი აბრამიშვილთან

–როგორ ფიქრობთ, რას აძლევს ბახვი ჰესი პროექტში დასაქმებულ ადამიანებს?

–ჩვენი ინვესტორების მოთხოვნაა, ბახვი ჰესის პროექტი განხორციელდეს იმ მაღალი სტანდარტით, რომელსაც იყენებენ მსოფლიოს მოწინავე ქვეყნები. ეს კი, გვაკისრებს ვალდებულებას გუნდში გვყავდეს ისეთი მაღალი დონის პროფესიონალები, რომლებსაც ზურგს უმაგრებს როგორც საქართველოში მიღებული გამოცდილება, ასევე მნიშვნელოვან საერთაშორისო პროექტებში მუშაობისის შეძენილი ცოდნა და უნარ-ჩვევები. სწორედ, მაღალკვა-ლიფიციურ პროფესიონალებთან ერთად მუშაობით ადგილობრივი კადრები ბევრს სწავლობენ და მნიშვნელოვან გამოცდილებას იძენენ. სამომავლოდ ვფიქრობ, თითოეულ მათგანს ძალიან გამოადგება ბახვი ჰესისი მშენებლობის პროცესში მიღებული ცოდნა და უნარები. მეორეს მხრივ, მნიშვნელოვანია ღირსეული სამუშაო პირობები, რომელსაც ჩვენი პროექტი ქმნის ადგილზე. სწორედ ამიტომ იყო ჩვენთვის მნიშვნელოვანი, პროექტზე დაგვესაქმებინა შეძლებისდაგვარად მეტი ადგილობრივი, რათა გაგვეზიარებინა და ადგილზე დაგვეტოვებინა ის გამოცდილება, რაც ჩვენ ამდენი წლის მანძილზე დავაგროვეთ.

საკმაოდ მრავალმხრივი სოციალური პროგრამა აქვს ბახვი ჰესს. პროექტების განხორციელება 2021 წლიდან დაიწყეთ. კონკრეტულად რა პროექტები განხორციელდა 2024 წელს?

წელს საგანმანათლებლო და შშმ პირების დახმარების პროექტების პარალელურად, რომლებიც მართალი ბრძანდებით, 2021 წელს დავიწყეთ, დავგეგმეთ და განვახორციელეთ ინფრასტრუქტურული პროექტები. 2024 წლის ოქტომბრიდან ვანისქედის 47 ოჯახში სუფთა წყალი სახლების ონკანებში მოედინება, რაც აქამდე მრავალი ათეული წლის მანძილზე შეუძლებელი იყო. მნიშვნელოვანი იყო გზების რეაბილიტაციის პროექტი. საერთო ჯამში მთისპირის თემის სოფლებში 8 კილომეტრიანი გზის მონაკვეთი მოსწორდა და მოიხრეშა. ასევე, ავაშენეთ ახალი ხიდი უკანავაში, რომელსაც გაცილებით მეტი შესაძლებლობები აქვს, ვიდრე ძველ ხიდს ჰქონდა. ამ ხიდით ვსარგებლობთ როგორც ჩვენ, ასევე სოფლის მაცხოვრებლები. 2024 წლიდან ჩვენი საგრანტო პროგრამით კიდევ ორი სტუდენტი სარგებლობს – **მარიამ ბერიძე** სოფელი ჩხაკაურადან და **ქეთევან მათითაიშვილი** სოფელი მთისპირიდან. მოსწავლეების ტრენინგების პროგრამამაც ძალიან საინტერესოდ ჩაიარა და კვლავ გრძელდება. ლექციები და შეხვედრები გვქონდა ცნობილ, საინტერესო ადამიანებთან. გვახარებს, რომ ჩვენს მიერ მხარდაჭერილი პროექტები, როგორებიცაა ენერგოეფექტური განათება ბახმაროში, გურული ჩაის პროგრამა, სტუმარ – მასპინძლობის სექტორის გაძლიერება და შშმ პირების დახმარება, ეფექტიანია და კეთილდღეობა მოაქვს ამ პროგრამებში ჩართული თითოეული ადამიანისათვის.

დაფინანსებული ფართი

სკანვორდი



პასუხები:

ხეირიანი ბიჭები

ბოლოდროინდელ ინტერვიუში ალბერტ ეინშტეინი –ეთნიკურად გერმანელი; ფიზიკოსი, ფილოსოფოსი, ებრაელ-ებრაელ-ებრაელ-

საქართველო 1907-1914 წლებში

ქართველი საზოგადოება 1905 წლის რევოლუციის შემდგომ



2. გაზეთმა „იმერეთმა" კვლავ გააგრძელა ნიკო ნიკოლაძის კრიტიკა. 1912 წლის დეკემბერში გაზეთის 77-ე ნომერში დაიბეჭდა მასალა სათაურით: „ნ. ნიკოლაძის ახლანდელი მოღვაწეობის ნიმუში". წერილში ვკითხულობთ: „ნიკოლაძის დღევანდელი მოღვაწეობა მხოლოდ ის არის, რომ ფოთიდან გაიძეოს ყველა, ვინც მის რწმენას არ იზიარებს და ცოტაოდენ დამოუკიდებელ აზრს დაადგება." **ნიკო ნიკოლაძემ** ამჯერადაც დამჯერებელი პასუხი გასცა კრიტიკოსს: *„ჩემი რწმენა, მეგონა, ქარის მონატანი არაა, რომ ვისიმე წინააღმდეგობის მეშინოდეს. იმოდენათ დარწმუნებული ვარ მის საბოლოო, აუცილებელ, შეურყეველ გამარჯვებაზე, რომ არც კი ვიბრძი მისთვის, მტკიცედ ვიცი, ფუჭი ოცნება კვამლივით დაიშლება და ჭეშმარიტება თავს იჩენს."*

3. 1913 წელს **ვასილ წერეთელმა** (ფსევდონიმი „ურო") გაზეთ „იმერეთის" მე-4 ნომერში ნიკო ნიკოლაძის წინააღმდეგ დაბეჭდა წერილი სათაურით „ნ. ნიკოლაძეს". ამჯერად მას ბრალს სდებდნენ ფოთიდან იონა მეუნარგიას (ფოთის ქალაქის თავის მოადგილე იყო 1891-1894 წლებსა და 1907-1913 წლებში), იაკობ ფანცხავასა და მიხეილ ესაკიას განდევნის მცდელობაში. ნიკო ნიკოლაძე ვასილ წერეთელს პასუხობდა: იონა მეუნარგია არჩევნებში დამარცხდა, ხოლო მოიჯარადრე მიხეილ ესაკიას ქალაქის გამგეობამ შეუწყვიტა ოჯარა მას შემდეგ, რაც მე ქალაქის თავი აღარ ვიყავიო. რაც შეეხება იაკობ ფანცხავას ფოთიდან წასვლას, ნიკო ნიკოლაძე ამ საკითხზე უფრო ვრცლად ჩერდება: „ვერ გამიგია კი, რით, როგორ დამედო ეს ბრალი, როცა ბატ. ფანცხავასაც ჯურჩევდი, ნუ მიდიხარ, ქუთაისს ვერას გაარიგებ, ბევრი მოწინააღმდეგე აგიჩნდება მეთქი, და მის წამყვანსაც ვაფრთხილებდი, არ გამოგადგებათ: საგუბერნიო ქალაქს, საცა ყოველ გვარი მთავრობაა თავმოყრილი, სათავეში უდრეკი კაცი კი არა, ღვედივით რბილი და თან უწყვეტი უნდა ედგეს მეთქი."

4. გაზეთ „იმერეთის" 1913 წლის მე-7 ნომერში **ვასილ წერეთელმა** კიდევ დაბეჭდა წერილი სათაურით: „ნ. ნიკოლაძის პოლიტიკური მსოფლმხედველობა". ავტორი ნიკო ნიკოლაძეს ბრალს სდებდა, რომ „ თავის რწმენას ულალატა და უძველეს, რეაქციონურ პრინციპებს დაუბრუნდა და თაყვანი სცა". გარდა ამისა, წერილის ავტორი მიიჩნევდა, რომ ნიკო ნიკოლაძე ხელისუფლებას შეურიგდა და სარფიანი თანამდებობის ძებნას მიჰყო ხელი: „ჯერ გაზეთის („ნოვოე ობოზრენიეს"— ვ. გ.) დაწყების დღესვე განაცხადა თავისი შერიგება არსებულ წესწყობილებასთან და შემდეგ გამოუცხადა ულმობელი ბრძოლა რკინის გზის მთავრობას (იგულისხმება რუსეთის იმპერიის რკინიგზის მმართველობა — ვ. გ.), ვიდრე ადგილი არ ჩაიგდო ხელში რკინის გზაშივე. მას შემდეგ ლიტერატურას თითქმის სულ მიანება თავი... მასუკან მისი მიზიდულობა ფულიანი ადგილებისაკენ კიდევ უფრო იზრდებოდა. როტშილდს დაექირავა და შემდეგ ფოთის ნავსადგურების აშენებაში მიიღო მონაწილეობა." ნიკო ნიკოლაძე ცილისმწამებელს მოკლედ პასუხობდა: „მადლობა ღმერთს, მწერლობა უმოწმო მუსაიფი როდია. სამუდამოთ რჩება საბუთი — გაზეთის კოლლექცია. შიგ ("ნოვოე ობოზრენიეში"— ვ. გ.) „არსებულ წესწყობილებასთან შერიგება" მართლა რომ სადმე იპოებოდეს, ჩემს წინააღმდეგებს ამდენი ცილის თხზვა რაღათ დასჭირდებოდათ? ვინც ჩემ დროის „ნოვოე ობოზრენიეს" გადათვალიერებს, დარწმუნდება, რომ შიგ ულმობელი ბრძოლა არა მარტო რკინის გზასთან (რკინიგზის მმართველობასთან — ვ. გ.) მქონდა ჩვენი საქმის და სარგებლობის საცავად, აგრეთვე ცხარედ ვებრძოდი სასამართლოს — ენისთვის, სასწავლებელს (კავკასიის სასწავლო ოლქის ხელმძღვანელობას — ვ. გ.) — სწავლის შინაარსისთვის, საზოგადოთ „მართვის სწავლას ვთესავდი და თვითმართველობას ვწურთვნიდი. ჩემს მაშინდელ ბრძოლას ბ. შავროვთან (იგულისხმება ალექსანდრ შავროვი, რუსეთის მრეწველობისა და ვაჭრობის ხელშეწყობი საზოგადოების მდივანი, პუბლიცისტი — ვ. გ.) და საზოგადოთ, ბ. ტებენკოვის „კავკაზთან" (იგულისხმება ცნობილი ჟურნალისტი და მოგვიანებით გაზეთ „კავკაზის" რედაქტორი მიხაილ ტებენკოვი — ვ. გ.) პირადი, თუ ეროვნული ხასიათი ჰქონდა?" ნიკო ნიკოლაძე ოპტიმისტურად იყო განწყობილი და იმედს იტოვებდა, რომ მის ცილისმწამებლებს მომავალი თაობის მოღვაწენი გასცემდნენ პასუხს: „თუ ჩვენს მწერლობას ოდესმე ჭკუიანი კრიტიკოსი ეღირსა, ის დაამოწმებს, რომ მარტო აი, ამ კლიტით შეიძლება აიხსნას მთელი ჩემი მოღვაწეობა,დასაწყისიდგან დღეის-დღემდე. ამ ახსნას კრიტიკოსმა იქნებ ესეც დასძინოს: „რა ყრუობა ყოფილა იმ დროს, თუ მწერალს თვითონვე უნდა ეხსნა თავისი მიზანი!"

ნიკო ნიკოლაძე საგანგებოდ ჩერდება ვასილ წერეთლის წერილის იმ ნაწილზე, სადაც მას მწერლობის დალატსა და ფულიანი ადგილისაკენ მისწრაფებაში სდებდნენ ბრალს: „კარგად არ გაუცვნია მწერლობის მოვალეობა იმას, ვინც ამას მყვედრის? დიაღაც, ისეთი მოწიწებით ვეპყრობი მწერლის დანიშნულებას, რომ ყოველთვის, როცა ან რკინის გზის, ან მრეწველობის, ან ქალაქის სამსახურს ვკისრულობდი, უაღრეს მოვალეობად ვთვლიდი, მწერლობაზე ხელი ამეღო. ორ ღმერთს ერთსა და იმავე დროს კაცი ვერ ემსახურება. ყველა იმ დაწესებულებას, ვის სამსახურში შევდიოდი, ვუცხადებდი: მიჯრავება თქვენთვის ჩემი შრომა და ცოდნა, და არა მწერლური გავლენა მეთქი. მწერლობის და მკითხველის საზოგადოების წინ ჩემი დუმილი იმას მიასწავებს, თუ რა მორიდება მაქვს მომავლის, რა წმინდათაწმინდათ ვთვლი მწერლობას, ვერავინ მიიბნის სტამბაში ვერც ერთს სტრიქონს, ჩემგან დაწერილს, რკინის გზის, ან როტშილდის, ან ფოთის საქმეების დამცველს ან მადიდებელს, სანამ ამ საქმეებს ვემსახურებოდი, გარდა იმ იშვიათი შემთხვევისა, როცა რაიმე უშვერი ცილი თავიდან უნდა ამეცილებია და ამ დუმილს, ამ მსხვერპლს ბრალად მდებენ ჩვენი მწერლები!"

ნიკო ნიკოლაძე კრიტიკოსებს შეახსენებს, რომ ვერ კიდევ XIX საუკუნის 60-70-იან წლებში ეროვნული ცნობიერების გაძლიერებისათვის ბრძოლასთან ერთად იგი აუცილებლად მიიჩნევდა სხვა მიმართულებით მოღვაწეობასაც: „საჭიროდ ვთვლიდი შემეძრა ის ცხოველ-მყოფელი ძალები, რომლის მოქმედება და ურთიერთობა ერს ზრდის, ამაღლებს, აძლიერებს. შევეხე ეკონომიკას, კრედიტს, მრეწველობას, მიწის მფლობელობას და თვით-მართველობას. ძველი მოღვაწეების ნაშრომის შესწავლამ ნება მომცა მკვდრეთით აღმედგინა ბობოლაებისაგან დამარცხებული და დამარხული საქმეები და მოქმედი პირები, მგალითად, ყველასგან ერთიანად დავიწყებული საადგილ-მამულო ბანკები. ბ. გიორგი ყაზბეგს ჰკითხეთ (დამფუძნებელთაგან ეხლა მეტი არავინ მეგულება ცოცხლებში), რამდენჯერ დაგვჭირდა დუშეთს ასვლა 1871-1873 წწ., რამდენ ყმაწვილს რამდენი მეცადინეობა დაგვჭირდა, რომ ილია ჭავჭავაძისათვის სახელმწიფო სამსახურზე ხელი აგვღებინებინა, ბანკის დაარსება იერიშით ავვიღო, ბანკი განახლების ბანკად გვექცია და შიგ ჭავჭავაძე ძალდატანებით ქართული საქმის სათავეში ჩაგვეყენებია. თბილისის ქალაქის თავად სომხებს დიმ. ყოფიანი ავარჩევინეთ. ქუთაისს, გრ. ლევაშოვთან(გულისხმობს ქუთაისის გუბერნატორს — ვ. გ.) აუწერელი ბრძოლის შემდეგ, თვით-მართველობა შემოვაღებინეთ, ქართველობის ასპარეზი ხუთიოდე წელიწადში უცნობად გავაფართოვეთ". საინტერესოა, რომ ნიკო ნიკოლაძე 1913 წელს ასე განმარტავს XIX საუკუნის 70-იან წლებში ეროვნული მოძრაობის წინამძღოლთა შორის ჩამოვარდნილ უთანხმოებას: „რასაკვირველია, ახალი საქმეების აღძრას მოჰყვა შეტაკება სხვა და სხვა აზრებს, ინტერესებს, თავმოყვარეობათა შორის. ეს „ალიაქოთი" სულ მე დამბრალდა. ვინც დედა-ენის მეტს არას იცნობდა, დამქმდურა, ძალას უსარგებლო საქმეებზე გვაფლანგვინებსო, შოლის მეტი არა გვჭირია რაო. ყველა ეს ხიზნის, ბანკის, თვითმართველობის საქმეები ქართულ ერთობას არღვევენო. გაგონილა ქართველობაში ასეთი შფოთიო? გამოველ „შინაურ მტრად", დავლუნე თავი, მოვშორდი ქართულ მწერლობას. მუდამ ერთ სიმზე ყღერა ვის არ მობეზრდება? ვიფიქრე: შინაურ ბრძოლას სჭირს სხვა სარბილი მოვიძებნო მეთქი. რაკი უმეტესი ნაწილი იმ საქმეებისა, რომელზედაც ჩვენი ქვეყნის ბედი ჰკიდია, რუსის მთავრობის ხელშია, მოდი, რუსულად ახსნას დავუწყებ ჩვენს გასაჭირს, იქნება ამით ვისმე ვარგო მეთქი. ბევრი კითხვა აღმძრავს ამ ნარად. ვერავინ ვერაფერს გამოძებნის ამ ნაშრომში ჩვენი ქვეყნისათვის ურგებს ან სახიფათოს. მანც როცა ხიზნების მიწის მფლობელობის მოწესრიგებას ვიკვლევდი მთავრობისათვის, ქართულმა მწერლობამ მიკიეინა (1878-1880): ორად ჰყოფს ქართველობასო, სრულიად დავანებე თავი იმ კითხვებს, რომელნიც წოდებათა ურთიერთობას შეეხებოდნენ. სრულიად დავივიწროვე მოქმედების ფარგალი, ვეხებოდი მარტო იმ საქმეებს, რომელნიც არავის წინააღმდეგობას არ უნდა იწვევდენ: გზებს, არხებს, პორტებს, ვაჭრობას, მრეწველობას, ჯანმრთელობას, თვითმართველობას. ჩვენში ესეც არავის ეპიტნავა: „რა გვნაღვლებაო — ყველა მხრიდან მოისმოდა— ქანახშირი, ნავთის საქმე, შავი ქვა, რკინის-გზა, მიწა-წყალი, ბანკები, ვაჭრობა, მრეწველობა, თვით-მართველობა კის ხელშია და რა მიმართულებისაო?" ზოგს მარტო დედა-ენაზე წერა ესმოდა, ზოგი მარტო იმას აფასებდა, თუ ბჭკარებს შუა პოლიციელის გაწკეპვას ამოიკითხავდა. ამაკი, შრომა არ გადიოდა (...). აზრს ვერ იგებდენ ან განზრახ ასხვაფერებდენ და მთელი წლობით ცილს თუ შეცდომას იმორებდენ." როგორც ვხედავთ, გაზეთ „იმერეთს" და კერძოდ, ვასილ წერეთელს ძალზე ადვილი ჰგონებიათ ნიკო ნიკოლაძის ნაზრევისა და ნაღვაწის უარყოფა, მაგრამ შეცდნენ! ნიკო ნიკოლაძემ თანმიმდევრულად და ლოგიკურად ახსნა, გულახდილად განმარტა, თუ რის საფუძველზე მოუხდა დაპირისპირება ძველ თანამებრძოლებთან. ამ შემთხვევაში მსაჯულის როლი ვასილ წერეთელსა და ნიკო ნიკოლაძეს შორის ქართველ საზოგადოებას უნდა შეესრულებინა. ამ უკანასკნელს კი რევოლუციის შემდგომ ეს საჭირბოროტო საკითხები საერთოდ არ აინტერესებდა და არც მტყუან-მართლის გარჩევას ცდილობდა. ამიტომ იყო, რომ ნიკო ნიკოლაძე იძულებული გახდა, 1913 წელს ქუთაისში დაბეჭდა ბროშურა „ჩემ პოლიტიკაზე (გაზეთის „იმერეთის" საპასუხოდ.)" ბროშურის გამოქვეყნება ავტორს მას შემდეგ გადაუწყვეტია, რაც გაზეთ „იმერეთის" რედაქცია (რედაქტორი გრ. ჭელიძე) ნიკო ნიკოლაძის პასუხის დაბეჭდვაზე უარი უთქვამს.

1913 წელს ქუთაისში გამოცემული ნიკო ნიკოლაძის ბროშურა „ჩემ პოლიტიკაზე" ასეთი დასკვნით მთავრდება: „სამ მტერი ჰყავს ქართულ განვითარებას. ერთი საკუთარი მწერლობის აზრის სივიწროვე თუ ინერცია გახლავსთ, მარტო ის სწამს და ახსოვს, რასაც დიდი ხანა შეჩვევია(...). მეორე უბედურება ის გვჭირს, რომ ოჯახი, შოლა ჯერ როდი გვაძლევს საკმაო მომზადებას. ამის გამო სხვის ლიტერატურაშიც უფრო ძნატეს, შემცდარს, შეშლილსა და უვიც მწერლებს ვეწაფებით, ვინემ თანამედროვე ცოდნით დაიარაღებულს. მესამე, ორივეზე უფრო მეტი გასაჭირი ისაა, რომ ვისაც ჩვენში ღირსება ნამდვილი განათლების, სწორე ცოდნის შეძენა, ის როდი ეკარება ჩვენს მწერლობას ან ჩვენს საზოგადო საქმეებს. ამ მიზეზით ესენი თითქმის ერთიანად ერთობ დაუმზადებელ „მეთაურების" ხელშია."

რევოლუციის შემდგომი პერიოდის ქართველობის ამაზე სრულად და საფუძვლიანად დახასიათება შეუძლებელია.

ავადმყოფი საზოგადოება

არჩილ ჯორჯაძე ყურადღებით აკვირდებოდა 1905 წლის რევოლუციის შემდგომი პერიოდის საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოძრაობას, საერთოდ, ქართველ საზოგადოებას. თავისი მოსაზრებები ავტორმა 1909-1911 წლებში გამოქვეყნებულ რამდენიმე წერილსა და სტატიაში წარმოადგინა.

1909 წელს დაწერილი სტატია **„მავნებელი სენი"** ასე იწყებოდა: „დაჭკვირვებია თუ არა მკითხველი იმ უცნაურ, პირველ შეხედვით გაუგებარს მოვლენას, რომ ქართველი განათლებული საზოგადოება და ქართველი ინტელიგენცია, ერთის მხრივ, თითქოს მონდომებულია ჩვენი ხალხის ეროვნული ინტერესების დაცვას, ხოლო, მეორეს მხრივ, თავის პრაქტიკულ მოქმედებით და ცხოვრებით არათუ ძირიანად უარჰყოფს იმ ინტერესებს, არამედ სამარკვლესაც კი უთხრის ჩვენს ეროვნულ-კულტურულ აღორძინებას. სხეში მყავს ინტელიგენციის და საზოგადოების ის ფრიად დიდი ნაწილი, რომელიც რუსულად აზროვნებს, რუსულად სწერს და შემოქმედობს და მხოლოდ რუსულად კითხულობს." ამის შემდეგ არჩილ ჯორჯაძე კიდევ უფრო მუქ ფერებში წარმოადგენს ქართველი ინტელიგენციის სახეს: „მართლაც, განა საკვირველი მოვლენა არ არის, რომ საზოგადოების ის ნაწილი, რომელიც ყველას არწმუნებს, რომ ჩემი მრწამსი ეროვნებაა და ეროვნების სამსახური, რომ ეს ნაწილი საზოგადოებისა ქართულ ენას პრაქტიკულ ცხოვრებაში უარ-ჰყოფს, ხელს უშლის მწერლობის განვითარებას, ენის გავარჯიშებასა და მით ეროვნების სულსა ჰკლავს და ეროვნულ ცხოვრების ძარღვს ადუნებს". თითქოს ბევრი იყო ნათქამი ქართველი ინტელიგენციის რუსულად მოაზროვნე ნაწილის დახასიათებისათვის, მაგრამ არჩილ ჯორჯაძე ამით არ კმაყოფილდება, ის არკვევს, თუ რა საშიში პროცესი მოსდევს ამგვარ მდგომარეობას: „განსაცვიფრებელი არ არის განა ის გარემოება, რომ საქართველოსა და ამერკავკასიაში არსებულ რუსულ პრესის ხელმძღვანელნი, თანამშრომელნი და თითქის მკითხველნიც უმეტეს შემთხვევაში ქართველები არიან, ქართველ ინტელიგენციის წარმომადგენელნი. როცა ვუკვირდები ამ მოვლენას, ერთად-ერთი აზრი მებადება თავში — ჩვენი ბატონ-პატრონების (რუსეთის იმპერიის ხელისუფლების — ვ. გ.) პოლიტიკა ჩვენს ქვეყანაში გამარჯვებაშია. მს ძლიერი მოკავშირე გაუჩენია. ეს მოკავშირე თვით ინტელიგენციაა. იგი გადაგვარებულია და ამ გადაგვარების შეგნება მს არა აქვს. და გულწრფელად სჯერა, რომ ხალხის ერთ ნაწილში სამშობლო ენის დახშვა და დადაღვა და ამავე დროს მთავრობის ვითამდა გაკიცხვა ანტიეროვნულ პოლიტიკის გამო არის სწორედ ის მამულიშვილური მოღვაწეობა, რომელიც დღეს ესაჭიროება ქართველ ხალხს. ამ ფარისეველურ და შინაგან წინააღმეგობით აღსავსე ფსიხიურ ატმოსფერაში იბრუნებს სულს და სცხოვრობს დღეს ჩვენი ინტელიგენციის დიდი ნაწილი." ბრალდება საკმაოდ სერიოზულია, მაგრამ, სამწუხაროდ, არჩილ ჯორჯაძის ობიექტურობაში ეჭვის შეტანა არ შეიძლება. ეს შემაშფოთებელი დასკვნა სამშობლოზე შეყვარებულ ადამიანს ეკუთვნის. არჩილ ჯორჯაძე რომ ობიექტური შემფასებელია და მიკერძოებას სულაც არ იჩენს, კარგად ჩანს იმავე წერილიდან: „მე ძლიერ კარგად მესმის, რომ ქართველ ინტელიგენციის გადაგვარებას თავისი გასამართლებელი საბუთი ბევრი აქვს, რომ ისტორიულ პირობებს ამ საქმეში დიდი ადგილი უჭირავთ. მესმის ის, თუ რატომ აზროვნობს განათლებული საზოგადოება უცხო ენაზე და რატომ ეადვილება უფრო უცხო ენაზე დაწერილ წიგნებისა და გაზეთების კითხვა. საანმარ ჭეშმარიტებად გადაიქცა ის აზრი, რომ ამის მთავარი მიზეზი ეროვნულ ყველა ხარისხის სკოლის უქონლობაა. ფართო საზოგადოებაში ქართულ ენის უცოდინარობა ბუნებრივ მოვლენად გადაიქცა, რადგან ადამიანს არ მოეთხოვება ის, რაც მისთვის არ უსწავლებიათ. მაგრამ ამავე დროს ამ აზრის აღიარება თვით-მკვლელობის დადასტურებას მიგავს. მაშ, რაკი გარემოების ბრალია და ყოველივე გარემოებამ წაახდინა და რაკი გარემოების მონები ვართ, საბოლოოდ დავემორჩილოთ ამ გარემოებას და ნუღარ ვფარისეველობთ, ნუღარ ვაყალერებთ ეროვნულ სიმებს!" წერილის ბოლოს არჩილ ჯორჯაძე კიდევ ერთ შემაშფოთებელ ტენდენციას წარმოაჩენს: „პირადად არავის წყენა არ მინდა. რუსულად სწერენ ხოლმე პატივცემულნი პირნიც, რომელთაც ქართულ მწერლობაში დიდი ღვაწლი მიუძღვით. მე მაქვს სხეში საზოგადოებრივი მოვლენა, რომელიც თანდათან მავნებელი სენის ხასიათს იღებს. მე მაქვს სხეში ის ცრუ აზრი, ვითომ პირველი საქმე და მოვალეობა ჩვენი იმაში კი არ იყოს, მთელი ჩვენი ძალ-ღონე ეროვნულ ძალთა ორგანიზაციას მოვახმაროთ, არამედ იმაში, რომ **ვილაცა რაღაცაში** დავარწმუნოთ და ჩვენსკენ გული მოვუბრუნოთ.



არჩილ ჯორჯაძე

ვახტანგ გურული

„საქართველოს ახალი ისტორია (1801-1918) წიგნი IV. გვ.38-41

გაგრძელება დასაწყისი „ალიონი №19-21" 2024წ. №1„2; 2025 წ.

ხრიალეთში „ელემენტარული მუზიცირების“ წრის ღონისძიება გაიმართა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ შრომაში, ხრიალეთის საჯარო სკოლაში ოზურგეთის მუნიციპალიტეტის კულტურის და მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრთან არსებული „ელემენტარული მუზიცირების“ წრის ღონისძიება გაიმართა. (წრის ხელმძღვანელი - ნანა ბოლქვაძე)

ცენტრის დირექტორმა ელემენტარული მუზიცირების წრის მოსწავლეებს მუსიკალური ინსტრუმენტები შეუძინა და გადასცა

ძიუდოში ლიცენზია მოპოვებულია!

ქ.თბილისში ძიუდოში (2009 - 2010 წწ დაბადებულთა შორის, სხვადასხვა წონით კატეგორიაში) საქართველოს სალიცენზიო შეჯიბრი გაიმართა.

ასპარეზონაში მონაწილეობა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სპორტულ- გამაჯანსაღებელ დაწესებულებათა გაერთიანების ძიუდოს სექციის სპორტსმენებმაც

მიიღეს და ლიცენზიის მფლობელები გახდნენ:

გიორგი ბუკავაძე 73 კგ;
სერგი გოგოლაძე 73 კგ;
აკაკი რუსიეშვილი 66 კგ.

აღნიშნული ლიცენზირებული სპორტსმენები საქართველოს პირველობაზე (სარეიტინგო შეჯიბრში) მიიღებენ მონაწილეობას, რომელიც მიმდინარე წლის მარტის თვეში გაიმართება.

ოზურგეთელი ძიუდოისტები ასპარეზობისთვის **დიმიტრი ტულუშმა, გოჩა ბურჭულაძემ** და **დავით ჩიკაშუამ** მოამზადეს.

ეწვიეთ XVII საუკუნის ერისთავების ციხე-დარბაზს

ერისთავების ციხე-დარბაზი XVII საუკუნისაა. უნიკალური ნივთები მ.შ. ერისთავების ცნობილი საწერი მაგიდა,გასაშლელი კაკლის მაგიდა,უნიკალური 200 წლის წინ დაბეჭდილი ენციკლოპედია ფერადი სურათებით და სხვა. 300 წლის ფრანგული „ბედნიერების სარკე", უძველესი მარანი.უნიკალური გურული ვაზის ღვინოები. ლოკალური პროდუქტები და ბევრი სიურპრიზები.ციხე-და-რბაზში ახალდაქორწინებულთა ხელმოწერის ცერემონიალი შესაბამისი მოწმობის გადაცემით, ფართის დათმობა ფოტოსესიებისათვის. წინასწარი შეკვეთით XVII საუკუნის გურული კერძების დაგემოვნება ფოლკლორული ანსამბლის კონცერტი, ვახშამი ერისთავების სასახლის აივანზე, საპიკნიკე ადგილებით მომსახურება.ეტლით და ცხენით გასეირნება.

მისაღები ფასები და გულთბილი მასპინძლები.

კეთილი იყოს თქვენი მობრძანება.

ციხე დარბაზის ყოველ მეასე ვიზიტორს სასიამოვნო სიურპრიზი ელის.

დაგვიკავშირდით, მარკეტინგის მენეჯერი: ანა ღამბარაშვილი +995598995550

რეზიდენციის მენეჯერი: ზაურ ოსეფაიშვილი +995599492626

ვიზიტორთა მიღება ყოველდღე 10 საათიდან 19 საათამდე.

მისამართი: საქართველო ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი სოფ. გორაბერეჟოული.

ლაზარე ჩხარტიშვილი საქართველოს 2025 წლის ჩემპიონია

ქუთაისში დამთავრდა საქართველოს ჩემპიონატი 9,11,13 და 15 წლამდე ასაკის გოგონებსა და ჭაბუკებს შორის. რომელშიც მონაწილეობდა ოზურგეთელი 10 წლის **ლაზარე ჩხარტიშვილი.** მან თავიდანვე ჩაიგდო ხელში ლიდერობა და გამარჯვებით დაასრულა ჩემპიონატი. იგი უკვე ორგზის ჩემპიონია. სასიხარულოა, რომ, მან როგორც შარშან, წელსაც წარმატებით დაიწყო სპორტული სეზონი და იმედია, უკვე მოპოვებული საგზურით, მსოფლიო და ევროპის პირველობაზეც გვასახელებს.

ვულოცავ ლაზარეს და მომავალ წარმატებებს ვუსურვებთ!

მემორიალურ საჭადრაკო ტურნირი „გიგლა ლომჯარია -75“

9 თებერვალ ოზურგეთის საჭადრაკო კლუბში დამთავრდა მემორიალური ტურნირი, რომელიც ცნობილ საჭადრაკო მოღვაწის, გიგლა ლომჯარიას დაბადებიდან 75 და გარდაცვალებიდან 20 წლისთავს მიეძღვნა. მასში, უფროსი თაობის მოჭადრაკეებთან ერთად, ახალგაზრდა, გამოცდილი და ტიტულოვანი მოჭადრაკეებიც მონაწილეობდა. ტურნირი რაპიდის რეგლამენტით მიმდინარეობდა, რომელიც წრიული სისტემით, ორ ეტაპად, გაიმართა. პირველ ეტაპზე გამოვლინდა საუკეთესო ექვსეული, რომელშიც პირველი ეტაპის შედეგებით გავიდნენ: ნიკოლოზ ბარამიძე, გივი სიამაშვილი, დავით კიღურაძე, ელგუჯა ურუშაძე, ამირან თავაძე და ანზორ ქუტიძე. საპრიზო ადგილებისათვის ბრძოლაში ყველას **ელგუჯა ურუშაძემ** აჯობა, რომელმაც ერთი ქულით გაუსწრო მეორე ადგილზე გასულ **გივი სიამაშვილს.** განსაკუთრებულ შექებას იმსახურებს **ამირან თავაძე,** რომელმაც 8 პარტიიდან 5,5 ქულა აიღო და ძლიერთა შორის დამსახურებულად დაიკავა მესამე საპრიზო ადგილი.

წარმატებული მოჭადრაკეები დაჯილდოვდნენ მედლებით დიპლომებით და ფასიანი საჩუქრებით.

ტურნირის დახურვისას, კიდევ ერთხელ აღინიშნა ბატონი გიგლას შესახებ, რომელსაც მეუღლე – მზია წერეთელთან ერთად, დიდი ღვაწლი მიუძღვის ოზურგეთში და ზოგადად გურიაში ჭადრაკის განვითარების საქმეში.

ოზურგეთელი კალათბურთელების მორიგი წარმატება!

9 თებერვალს ქ. თბილისში კალათბურთში საქართველოს ჩემპიონატი, ჩ ლიგის თამაშები (16 წლამდელთა შორის) დაიწყო.

ასპარეზობაში ჩაებნენ და პირველი თამაში წარმატებით დაასრულა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სპორტულ – გამაჯანსაღებელ დაწესებულებათა გაერთიანების გუნდმა „ გურიამ". ჩვენმა გუნდმა თბილისის „ აკადემია **3?** 91 : 45 დაამარცხა.

აღსანიშნავია, ის რომ თამაშის მოგებაში ყველა კალათბურთელს თანაბარი წვლილი, მწვრთნელთან აზა მჟავანაძესთან ერთად მიუძღვის.

„ გურია" უახლოეს დღეებში „ აკადემია 3“ კიდევ ერთ თამაშს გამართავს.

ოზურგეთელ კალათბურთელებს გამარჯვება მიულოცა გურიის ფედერაციის პრეზიდენტმა ლაშა თოიძემ.

„ გურიას " თბილისში გამგზავრება, ისევე როგორც ყველა გასვლითი თამაშების, სპორტულ – გამაჯანსაღებელ დაწესებულებათა გაერთიანებამ უზრუნველყო.

მზე, ღრუბელი +2+11	წვიმა -2+5	მცირე თოვლი -1+5	სეტყვა -3+2	მცირე თოვლი -4-2	მცირე თოვლი -4-2	ღრუბელი, +1+4
17 თებერვალი ორშაბათი	18 თებერვალი სამშაბათი	19 თებერვალი ოთხშაბათი	20 თებერვალი ხუთშაბათი	21 თებერვალი პარასკევი	22 თებერვალი შაბათი	23 თებერვალი კვირა